პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

ორშაბათი, 30 დეკემბერი, 1940 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

№ 36 (159) ფასი 30 კაპ.

ახალი წელი

დასრულდა ათას ცხრაას ორმოცი წელი — მესამე წელი მესამე სტალინური ხუთწლედისა. სიხარულით აცილებს ჩვენი სამშობლო ამ მადლიან და ბარაქიან ძველ წელიწადს და სიხარულითვე ხვდება ახალ წელს, რომელსაც ისევ ნათელი პერსპექტივები, ისევ დიდი სიხარული და ბედნიერება მოაქვს. სოციალისტური სახელმწიფოს ისტორიაში ყოველი ახალი წელი ახალი ბედნიერებისა და სიხარულის მახარობელია და სწორედ ამიტომ საბჭოთა მოქალაქე ასე გულმხურვალედ შეჰხარის თავის აწმყოსა და მომავალს, შეჰხარის თავის სამშობლოს, რომელიც წლიდან წლამდე უფრო და უფრო იზრდება, უფრო და უფრო ძლიერდება.

სიხარულის გრძნობით ეგებება საბჭოთა ხალხი ახალი წლის დილას. სასიხარულო გულისძგერით მიესალმება მას სოციალიზმის დიდი ქვეყანა, რომელიც ლაღად გადაჭიმულა უზარმაზარ სივრცეზე — წყნარი ოკეანის ნაპირებიდან კარპატის მთებამდე, არქტიკის ყინულოვანი ზღვებიდან კოლხიდის მზიან ბაღნარამდე. და საბჭოთა მოქალაქე, რომლის გულიც სავსეა სიამაყით და სიხარულით, როგორც ყოველთვის, მადლობისა და სიყვარულის ნიშნად, სალამის პირველ სიტყვას მიუძღვნის დიდ **სტალინს**, როგორც ჩვენი გამარჯვებისა და სიმტკიცის შთამგონებელს. საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, რომ ყველა ჩვენი წარმატება განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ **სტალინის** სახელთან, მის სიბრძნესთან, მის გენიალობასთან. „როდესაც ჩვენ გარშემო ვიხედებით, როდესაც ვხედავთ უზარმაზარ ქარხნებს, რომლებიც აშენებული არიან იქ, სადაც წინად ცარიელი ველები იყო და უღრანი ტყეები ხმაურობდნენ, ვიცით: ამაშია ჩვენი სტალინის ნებისყოფისა და ენერგიის გამოხატულება; და როდესაც ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ გაიფურჩქნა ახალი ცხოვრება საბჭოთა სოფლებში, რა უხვ მოსავალს იძლევა საკოლმეურნეო მიწა, ჩვენ ვიცით — ეს ჩვენი სტალინის დაუღალავი მუშაობის შედეგია. და როდესაც ჩვენ ვხედავთ ჩვენი თავისუფალი ბედნიერი ხალხის სიხარულით აღსავსე შემოქმედებითს, კულტურულ ცხოვრებას, ჩვენ ვიცით—ეს ჩვენი სტალინის მუშაობის შედეგია... სტალინი ჩვენი ბავშვების ღიმილშია, სტალინი ჩვენი ხალხის შემოქმედებითს, ნაყოფიერ, სიხარულით აღსავსე შრომაშია, სტალინი საბჭოთა პატრიოტების გმირობაშია, ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის სიმამაცეშია, ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ადამიანების გამბედაობასა და ენერგიაშია. სტალინი მილიონების დროშაა, ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორია, დიადი საბჭოთა კავშირის ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის სიმბოლოა“ („პრავდა“),

სტალინის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყო საბჭოთა ქვეყნის ადამიანებისათვის საამური ცხოვრება, მშვიდობიანი შრომა, იმ დროს, როდესაც ჩვენი საზღვრების გადაღმა ევროპასა, აზიასა და აფრიკაში მრისხანედ ბობოქრობს მეორე იმპერიალისტური ომის ხანძარი. ეს ხანძარი ნთქავს და ანადგურებს კაცობრიობის კულტურულ ძეგლებს, უსახლკაროდ და უბინაოდ სტოვებს ადამიანთა მილიონებს, ქუჩაში, სამათხოვროდ მიერეკება ქალებსა და ბავშვებს, მათთვის უბედური იყო ძველი წელიწადი და მათ არც ახლის მოსვლა ახარებთ.

მარტო საბჭოთა სამშობლოში, მარტო სტალინური კონსტიტუციის მზით განათებულ ქვეყანაში მტკიცედ დამკვიდრებულა მშვიდობა და სიხარული, ბედნიერება და ხვალინდელი დღის მტკიცე რწმენა.

სიამაყით ივსება ჩვენი გული, როდესაც თვალს ვავლებთ აწ უკვე დამთავრებულ წელიწადს. იგი აღსავსეა საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებით. ახალი ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვა საბჭოთა მთავრობის ბრძნულმა სტალინურმა საგარეო პოლიტიკამ.

1940 წელი სამუდამოდ დარჩება კაცობრიობის ისტორიაში, როგორც წელი, აღბეჭდილი წითელი არმიის გმირული გამარჯვებებით. მუშურ-გლეხური წითელი არმიის მებრძოლებმა და მეთაურებმა, ჩვენმა არტილერისტებმა და ქვეითა ნაწილებმა, სტალინურმა შევარდნებმა და მამაცმა ტანკისტებმა წარმატებით გააცამტვერეს მანერჰაიმის სიმაგრეები, რომელნიც მანამდე მიუვალად ითვლებოდნენ. ამ ბრძოლებმა, რომელთაც სამუდამოდ უზრუნველჰყვეს ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ-დასავლეთის საზღვრების უშიშროება, სახელი გაუთქვეს საბჭოთა დევგმირებს, სტალინური მოდგმის ადამიანებს, რომელთაც საქმით დაამტკიცეს საბჭოთა იარაღის უძლეველობა და თავისი უღრმესი სიყვარული სამშობლოსადმი.

1940 წელი სამუდამოდ დარჩება ისტორიაში ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბესარაბიის და ჩრდილოეთ ბუკოვინის ხალხების განთავისუფლების ბრწყინვალე თარიღად. ბალტიის მხრის ქვეყნების ხალხებმა თავიანთ სამშობლოდან გააძევეს პლუტოკრატული მთავრობები, რომელნიც მოსყიდულნი იყვნენ დასავლეთის იმპერიალისტების მიერ; ხალხმა დაამხო მათი ბატონობა, ერთსულოვნად გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება და თავისი ნება-სურვილით შემოუერთდა საბჭოთა ქვეყანას.

საბჭოთა მთავრობის ბრძნული სტალინური საგარეო პოლიტიკის წყალობით მშვიდობიანად, სისხლის დაუღვრელად გადაწყდა კონფლიქტი საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის გამო. ოცდაორი წლის განმავლობაში გმინავდა მშრომელთა ბესარაბია რუმინელი ოკუპანტების ქუსლის ქვეშ. მძლავრმა საბჭოთა სახელმწიფომ გაანთავისუფლა ბესარაბია და ჩრდილოეთ - ბუკოვინა მტრისაგან, რუმინელი ბოიარებისაგან, რომელთაც 1918 წელს იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით დაიპყრეს ზემოხსენებული ქვეყნები და მონობის უღელი დაადგეს მათ.

სსრ კავშირში, მოძმე რესპუბლიკათა თანავარსკვლავედში, ბრწყინავენ ღერბები ახალი საბჭოთა რესპუბლიკებისა — კარელია-ფინეთისა, ლიტვისა, ლატვიისა, ესტონეთისა და მოლდავეთისა.

ჩვენი ქვეყნის ძალა, მისი მძლავრი საერთაშორისო ავტორიტეტი ეყრდნობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების პოლიტიკურ, სამეურნეო და სამხედრო ძლიერების განუწყვეტელ ზრდას. 1940 წელს უფრო მეტად ამაღლდა საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობა; მძიმე ინდუსტრიამ, მსუბუქმა მრეწველობამ, სარკინიგზო და წყლის ტრანსპორტმა სერიოზული წარმატებით დაამთავრეს მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წელი.

1940 წელი აღნიშნულია საბჭოთა კულტურის სახელოვანი წარმატებებით: საბჭოთა მწერლობამ ამ ხნის განმავლობაში შესძლო გაემდიდრებინა სოციალისტური ლიტერატურის საუნჯე, ახალი ნაწარმოებებით, რომლებშიც გამოხატულია სოციალისტური სამშობლოს სიდიადე და ძლევამოსილება.

და კიდევ ვინ მოსთვლის ყველა იმ წარმატებას, რომლებითაც აღსავსეა განვლილი წელიწადი!

სიხარულის ჩაუქრობელი გრძნობით ხვდება საბჭოთა ქვეყანა ახალ წელს, რომელიც ახალ გამარჯვებათა მახარობელი იქნება. მტკიცე რწმენით ხვდება ახალ წელს საბჭოთა ხალხი, რომელიც მძლავრი ნაბიჯით მიდის კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ.

საახალწლო ლექსი საბჭოთა ესტონეთს

გ. ტაბიძე

ჩვენი მხურვალე სალამი მხარეს,
რომელსაც ჰშვენის სახელი ესტი!
ჩვენებრ ჰფარავდა, თუ არ უარეს,
შავი ღრუბელი, ცივი ნორდ-ვესტი.
მაგრამ გაირღვა რკინის კარები
და გადმოეშვა მსგავსება ტალღის —
თავისუფლება, შვება, დარება
და ნებისყოფა მშვენიერ ხალხის!
განათლდა გმირის კალევას კვალი,
მიმოეფინა ბაღებს ყვავილი.
იმ ორთავიან მტაცებლის თვალი,
ის წინანდელი საჯანდიხაველი
გაჰქრა, ვით ბნელი ღამის ზღაპარი.

სტალინურ სიბრძნით სავსე მხარეში
ყველანი ბედით ვართ თანაბარი
ერთა მშვიდობის ჩიელვარეში!
და მეგობრებად გვეხვევიან გარს
მზიურ ქვეყნების მკვიდრი მდგმურები
მეც Eesti kannel-ს (ესტონეთის ქნარს),
მღელვარე ჩანგით ვეხმაურები!

პროპაგანდისა და კომუნისტური აღზრდის სერიოზული იარაღი

საბჭოთა წყობილებამ მასებს აღუძრა ცოდნის უდიდესი წყურვილი, გატაცება სერიოზული მეცნიერული წიგნით. ჩვენს ქვეყანაში მილიონობით ადამიანები სწავლობენ. სწავლობენ ბავშვები, ჭაბუკები, მოზრდილნი. სწავლობენ არა მარტო სკოლებში, ტექნიკუმებში, ინსტიტუტებში, კურსებზე, არამედ შინაც — თვითგანათლების გზით, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის გზით.

ყველა იმათ, ვინც თვითგანათლებას ეწევა, და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს კადრებს, რომლებიც სწავლობენ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას, ეკონომიკას, ისტორიას, ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგს, უნდა დავეხმაროთ, რომ გაერკვნენ წიგნების სამყაროში, უნდა მივაპყრათ ადამიანთა ყურადღება, გავაღვივოთ მათი ინტერესი გონივრული, კარგი მეცნიერული წიგნისადმი და ამასთან ერთად გავაფრთხილოთ ხალტურული წიგნებისაგან, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტა როდია წიგნის ბაზარზე.

ყოველივე ეს უდიდეს მოთხოვნას უყენებს ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებსა და სათანადო სამეცნიერო დაწესებულებათა კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ საქმიანობას. კარგად დაყენებული მეცნიერული კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ჩვენი იდეების პროპაგანდის ერთ-ერთი სერიოზული საშუალებაა, მასების კომუნისტური აღზრდის ერთერთი მნიშვნელოვანი იარაღია. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანს ჟურნალ-გაზეთების უმეტესი ნაწილის ფურცლებზე გაჰქრა ლიტერატურულ-კრიტიკული მასალები. ბიბლიოგრაფიის რეკომენდაცია, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა პოლიტიკური და კულტურულ-ტექნიკური აღზრდის საქმეში, მათი ჰორიზონტის გაფართოების საქმეში, აშკარად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

კრიტიკულ - ბიბლიოგრაფიული მუშაობა ჯერჯერობით მოწყვეტილია სოციალისტური მშენებლობის საჭიროებას. სათანადო სამეცნიერო ცენტრები (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი და სხვ.) ამ მუშაობას არ ეწევიან. განსაკუთრებით სუსტია მხატვრული ლიტერატურის კრიტიკა. კრიტიკოსთა უმრავლესობა ლიტერატურის ისტორიით არის გართული და ყურადღებას არ აქცევს თანამედროვე, საბჭოთა ლიტერატურას.

სწორედ ამით აიხსნება, ის რომ გამოქვეყნებულ არაერთ უშინაარსო, ნაკლებადმხატვრულ ნაწარმოებთ, ხოლო ზოგჯერ მავნე, იდეოლოგიურად მტრულ ნაწარმოებებსაც კი თავის დროზე არ შეჰხებია სამართლიანი, მწვავე ბოლშევიკური კრიტიკა. ხოლო ზოგიერთი ეს ნაწარმოები, საბჭოთა ლიტერატურის სულისკვეთებისათვის უცხო, აშკარად არასწორად იქნა შეფასებული. ეს იმას მოწმობს, რომ კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მუშაობა მეტისმეტად მივიწყებულია, რომ ლიტერატურული კრიტიკა დაბალ იდეურ დონეზე დგას.

ჩვენი დიდი მეცნიერნი, სამწუხაროდ, ყოველთვის ხალისით როდი იძლევიან რეცენზიებს ახალი მეცნიერული წიგნების შესახებ. კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მუშაობა მეცნიერული შემოქმედების სერიოზული სახეა. და ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მუშაობა ჩვენს ქვეყანაში, როცა პრესაში თეორიული ნაშრომების შესაფასებლად მოვიზიდავთ ცოდნის სათანადო დარგების დიდ სპეციალისტებს.

მეცნიერული კრიტიკის ნიმუშებად შეგვიძლია მივიჩნიოთ მარქსიზმ - ლენინიზმის კლასიკოსთა მრავალი ნაშრომი. ენგელსის რეცენზიები მარქსის ნაშრომების შესახებ: „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, „კაპიტალის“ პირველი ტომი — თეორიული აზროვნების გენიალური ნაწარმოებებია. ისინი გვეხმარებიან იმაში, რომ შევისწავლოთ და გავიგოთ მარქსის დიადი ქმნილებანი.

ასეთია ლენინის კრიტიკული შენიშვნებიც წიგნების შესახებ. აკრიტიკებდა რა კაუტსკის ანტიმარქსისტულ ბროშურას „პროლეტარიატის დიქტატურას“, ლენინმა დასწერა თავისი სახელგანთქმული ნაშრომი „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუტსკი“. ლენინის ცნობილი სტატია „ჩვენი რევოლუციის შესახებ“ შეფასება იყო მენშევიკ სუხანოვის წიგნისა — „წერილები რევოლუციის შესახებ“. ლენინის თვითეული ამ სტატიათაგანი ახალი განძი იყო მარქსისტული აზროვნების განვითარებაში. ლენინის კრიტიკული სტატიებიც ტოლსტოის შესახებ ლიტერატურული კრიტიკის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენენ. მეცნიერული სიღრმე, საგნის ყოველმხრივი ცოდნა, უაღრესი მეცნიერული კეთილსინდისიერება, პოლიტიკური სიმახვილე, პარტიულობა მეცნიერული და მხატვრული ნაწარმოებებისადმი მიდგომაში—აი რა ახასიათებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ყველა ლიტერატურულ-კრიტიკულ გამოსვლას. ამ ნიმუშების მიხედვით უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ მივუდგეთ წიგნებისა და ლიტერატურულ ნაწარმოებთა შეფასებას, გარჩევას პრესაში.

ნამდვილი, ღრმად მეცნიერული კრიტიკა მკითხველს უნდა **არწმუნებდეს.** იგი დასაბუთებული უნდა იყოს, და არა დეკლარაციული. კრიტიკა მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ავტორიტეტული მკითხველთა თვალშიც და წიგნების ავტორთა თვალშიც.

ისევე როგორც მთელი ბოლშევიკური პროპაგანდა, გაზეთებისა და ჟურნალების კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული საქმიანობა მოწოდებულია ემსახუროს ჩვენი კადრების თეორიული შეიარაღების საქმეს, მათი თეორიული, კულტურული ჰორიზონტის ყოველნაირად გაფართოების საქმეს.

ჩვენმა გაზეთებმა და ჟურნალებმა გაბედულად და ულმობელად უნდა ამხილონ ბოლშევიზმისადმი მტრული წიგნები, ჩვენი კრიტიკის ცეცხლში უნდა გაატარონ ყოველგვარი უმეცრული ნაჯღაბნი, ანტიმხატვრული ნაწარმოებნი, და ამავე დროს ისინი ვალდებული არიან იბრძოლონ წიგნის მაღალი ხარისხისათვის, გზა გაუკვლიონ მასებში ისეთ ნაწარმოებთ, რომლებიც ნამდვილ ცოდნას იძლევიან, რომელნიც ხელს უწყობენ ჩვენი კადრების იდეურ-თეორიულ ზრდასა და აღზრდას. ფართო პოპულარიზაცია უნდა მოვახდინოთ ისეთ წიგნებისა, რომლებშიც განზოგადებულია მასების გამოცდილება, რომლებშიც ლაპარაკია მათს შემოქმედებითს თაოსნობაზე. კარგად დაყენებული ბიბლიოგრაფია დაგვეხმარება იმაში, რომ გავზარდოთ ლიტერატორთა ახალი კადრები, სისტემატურად აღვზარდოთ ისინი.

საჭიროა, რომ გაზეთები და ჟურნალები კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის თავიანთ განყოფილებათა საშუალებით რეგულარულად იძლეოდნენ მეცნიერებისა და ცოდნის სხვადასხვა დარგის ლიტერატურის თემატიკურ მიმოხილვას. დარგობრივი გაზეთებიც და ჟურნალებიც ვალდებული არიან იქონიონ მუდმივი კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული განყოფილებანი, სადაც მოცემული უნდა იყოს მთელი ახლადგამოსული სპეციალური ლიტერატურის შეფასება. საჭიროა რეგულარულად თავსდებოდეს დარგობრივ გაზეთებსა და ჟურნალებში სარეკომენდაციო სიები ლიტერატურისა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთათვის წარმოებისა და პროფესიების ცალკეული დარგების მიხედვით.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის შესახებ ამ ცოტა ხნის წინათ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნა, რომ საჭიროა ყოველნაირად განვითარდეს სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფია და მას თავი მოეყაროს ისეთ სამეცნიერო ცენტრებში, როგორიც არის მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი (მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურა), მსოფლიო ლიტერატურის გორკის სახელობის ინსტიტუტი (მხატვრული ლიტერატურა), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია (მეცნიერული და ტექნიკური ლიტერატურა), სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო აკადემია (სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა) და სხვ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია 1941 წელს უნდა შეუდგეს კაპიტალური ბიბლიოგრაფიული ნაშრომის გამოცემას მეცნიერებისა და ცოდნის ყველა ძირითად დარგში; ამ ნაშრომის სახელწოდება იქნება „წიგნი წიგნების შესახებ“;

საბჭოთა მკითხველი დიდი ნდობით და პატივისცემით ეკიდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში სამეცნიერო წიგნებისა და ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებთა შესახებ გამოთქმულ აზრს. და ჩვენი პრესა, ჩვენი კრიტიკოსები მოვალენი არიან საქმით გაამართლონ ეს ნდობა.

ლიტერატურულ - კრიტიკული სტატიები მოწოდებული არიან აღზარდონ მკითხველის ესტეთიკური, მხატვრული გემოვნება, გამოავლინონ ნაწარმოებთა იდეური შინაარსი და სწორი შეფასება მისცენ მათ ერთადერთი მეცნიერული თეორიის—მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან.

იმ მოთხოვნილებათა შესასრულებლად, რომლებსაც ლიტერატურულ კრიტიკას უყენებენ, ამ დარგის მუშაკები თვითონ უნდა იყვნენ ფართოდ განათლებული ადამიანები და დიდი მხატვრული გემოვნება უნდა ჰქონდეთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოახდენს ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა კეთილნაყოფიერ გავლენას საბჭოთა ლიტერატურის შექმნასა და განვითარებაზე.

ლიტერატურული კრიტიკის ამოცანაა ახლო იდგეს მწერალთა მუშაობასთან. ლიტერატურული კრიტიკა ხელს უნდა უწყობდეს ჩვენი ლიტერატურის ზრდას, გაფურჩქნას. ეს როლი რომ შეასრულოს, ამისათვის საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა უნდა იყოს ბოლშევიკურად პრინციპული, მართალი, კეთილსინდისიერი და პოლიტიკურად მახვილი. ლიტერატურულ ნაწარმოებთა შეფასებას, უწინარეს ყოვლისა, კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების თვალსაზრისით, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ინტერესების თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ.

საბჭოთა პატრიოტიზმის სული, რომელიც აერთიანებს და აღაფრთოვანებს ჩვენს ხალხს, საბჭოთა მწერლების შემოქმედების მთავარი მოტივი უნდა იყოს. ეს გადამწყვეტი კრიტერიუმია ლიტერატურულ ნაწარმოებთა და მათი იდეური შინაარსის შეფასების დროს. რამდენად აღზრდის ესა თუ ის ლიტერატურული ნაწარმოები მასებში საბჭოთა პატრიოტიზმს, კომუნისტური პარტიისადმი სიყვარულს, სოციალიზმის საქმისათვის თავდადებას, რამდენად მაღალია ამა თუ იმ ნაწარმოების მხატვრული თვისებები,—ამ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ლიტერატურის ღირსება-ნაკლოვანებანი.

ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის კლასიკური კრიტიკის მსგავსად, ჩვენი საბჭოთა მარქსისტული კრიტიკაც **პუბლიცისტური** უნდა იყოს. კრიტიკის ამოცანას უნდა შეადგენდეს არა მარტო ნაწარმოების ფორმის კრიტიკული ანალიზი, არამედ იმ საზოგადოებრივ იდეათა ანალიზიც, რომლებითაც გამსჭვალულია ესა თუ ის ნაწარმოები. ამასთან ამა თუ იმ ნაწარმოების იდეური შინაარსის, მიმართულობის განხილვა, რასაკვირველია, პირველ ადგილზე უნდა იყოს.

ჩვენი კრიტიკა მოვალეა დააყენოს ლიტერატურის წინაშე ახალი ამოცანები, რომლებსაც გვისახავს საზოგადოებრივი განვითარების მთელი მიმდინარეობა. ტურგენევი ბელინსკის შესახებ სწერდა, რომ მისი, როგორც კრიტიკოსის, შესანიშნავი თვისება „ის იყო, რომ მას ესმოდა, თუ რა იყო მორიგი საქმე, რა მოითხოვდა დაუყოვნებლივ გადაწყვეტას, რა იყო „დღიური ჭირვარამი“. სამწუხაროდ, სწორედ ეს აკლიათ ჩვენს კრიტიკოსებს.

საჭიროა სავსებით გამოვიყენოთ ბიბლიოგრაფია — მასებზე იდეური გავლენის ეს სერიოზული საშუალება, კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვანი იარაღი.

„პრავდის“ მოწინავე, 22/XII.

მწერალთა შეფობა

სახელმწიფო შრომითი რეზერვების—ჩვენი დიადი სამშობლოს მუშათა კლასის მომავალი შევსების—შექმნა უდიდესი მნიშვნელობის საქმეა. მთელი ჩვენი ქვეყანა ადევნებს თვალყურს სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მუშაობას. საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები — მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები იღებენ მათზე კულტურულ შეფობას.

ჩვენ, საბჭოთა საქართველოს მწერლები, მხურვალედ ვუჭერთ მხარს ამ ძვირფას ინიციატივას, საქართველოს მწერლები მრეწველობისა და ტრანსპორტის ახალგაზრდა მზარდი კადრებისათვის ჩაატარებენ ლიტერატურულ საღამოებს, მოხსენებებს, ლექციებსა და საუბრებს როგორც ჩვენს თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაზე, ისე კლასიკოსებზე.

ჩვენ მოვუთხრობთ ამ სასწავლებლების ახალგაზრდა მოსწავლეებს იმაზე, თუ როგორ არის ასახული ქართულ ლიტერატურაში ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** სახე, გავაცნობთ ჩვენს ახალგაზრდა მსმენელებს საუკეთესო ნაწარმოებებს საბჭოთა პატრიოტიზმის თემაზე. ჩვენ გავაცნობთ მათ აგრეთვე ჩვენს ახალ ნაწარმოებებს, რომლებიც მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XX წლისთავისადმი.

იმისათვის, რომ შევუდგეთ კულტურული შეფობის დარგში ჩვენს მოვალეობათა შესრულებას, ჩვენ ქალ. თბილისის სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებს მივამაგრეთ მწერალთა ბრიგადები პოეტების, პროზაიკოსების, დრამატურგებისა და კრიტიკოსების შემადგენლობით. ასეთსავე მუშაობას გავაჩაღებთ საბჭოთა საქართველოს სხვა ქალაქებშიც.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის წევრები: პასუხისმგებელი მდივანი **ი. აბაშიძე**, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **შ. დადიანი**, **ლ. ქიაჩელი**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ი. მოსაშვილი**, **ს. ჩიქოვანი**, **ს. ეული**, **შ. რადიანი**, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატები **დ. შენგელაია**, **გ. ლეონიძე**.

ახალი შემოქმედებითი მიღწევებისათვის 1941 წელს

ალიო მაშაშვილი

1940 წელი ჩემთვის იყო შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფიერი წელი. დავწერე ოცი ლექსი და ორასამდე მინიატურა. გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა ჩემი რჩეული ლექსებისა და პოემების ახალი წიგნი („თხზულებანი“ — ერთ ტომად).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავთან დაკავშირებით გამოდის კიდევ ორი წიგნი სახელგამისა და საბლიტგამის ხაზით. აღნიშნულ წიგნებში შევა ციკლი ახალი ლექსებისა „თებერვალზე“, „სამშობლოზე“ და „საბჭოთა ადამიანებზე“.

ლეო ქიაჩელი

წელს ჩემი მიზანი იყო მემუშავნა უმთავრესად თანამედროვე ქართველი ინტელიგენციის ცხოვრების მასალაზე აგებული რომანის დასაწერად. თემა და მასალა დიდიხანია მაინტერესებს, ხოლო ამოცანის სირთულე მაშინებს. ყოველ შემთხვევაში ეს თემა ჩემი ინტერესის მთავარი საგანი იყო. მაგრამ გარემოებამ მოიტანა, რომ ორმოცი წლის პირველ ნახევარში დიდი დრო დამეთმო „გვადი ბიგვას“ რუსულ თარგმნის შემოწმებისათვის, რომელიც წელს სამჯერ დაიბეჭდა მოსკოვს. ხოლო მეორე ნახევარში ინტენსიურად მემუშავნა რეჟისორ ნ. შენგელაიასთან ერთად უაღრესად საპასუხისმგებლო კინო-სურათის ლიტერატურული სცენარის შესადგენად თემაზე: **სტალინის** რევოლუციური მუშაობა 1898 წლიდან 1905 წლამდე საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. ეს სამუშაო ძირითადად ამჟამად შესრულებულად მიმაჩნია.

მომავალ 1941 წელს ჩემს განზრახვას შეადგენს საბოლოოდ მოვიფიქრო და დავწერო რომანი ჩვენი ინტელიგენციის ცხოვრებიდან. ამასთან ერთად გასულ წელს შეწყვეტილი და დაუმუშავებელი სამი მოთხრობა დავასრულო და დავბეჭდო. ამათგან ორი ისტორიულია, ხოლო ერთი თანამედროვე ქართველი ქალის სახის მოცემის ცდას წარმოადგენს.

გიორგი ლეონიძე

1941 წელს ვიმუშავებ ლირიკულ ლექსების ახალ წიგნზე.

ამას გარდა განზრახული მაქვს დავწერო ლექსების ციკლი რუსეთზე: ლექსები მოსკოვზე, შეხვედრები მოსკოვში, რუსის პოეტები, რუსეთის პეიზაჟები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის გამოვა ჩემი ახალი პოემა „სამშობლო“.

მაგრამ მთავარი ჩემი სამუშაო არის ტრილოგიის „სტალინის“ მეორე წიგნი „ბელადის სიჭაბუკე“, რომელშიც შევა ბელადის მოწაფეობის ხანა, სემინარია, პირველი არალეგალური რევოლუციური მუშაობა (თბილისი, ბათუმი, ჭიათურა) 1905 წლ. ჩართვით. პოემა იქნება სიუჟეტური, იმავე სივრცის რამდენიც პირველი წიგნია („ბავშვობა და სიყრმე“).

1941 წ. დავბეჭდავ ცალკე წიგნებად აგრეთვე მონოგრაფიას „ბესიკი“ და „ვოლტერიზმი საქართველოში“.

ამას გარდა დავბეჭდავ „ლიტერატურის მატიანეს“, შემდეგ წიგნებს, რომლის რედაქტორადაც ვითვლები.

სანდრო ეული

1940 წელს დავწერე 17 ახალი ლექსი, და პოემა „ეპოქის ავტორის“ გაგრძელება. („ეპოქის ავტორის“ პირველი წიგნი გამოიცემა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლისთავისათვის.) აგრეთვე დავწერე პიესა ლექსად.

ვთარგმნე ნავოის 1000 სტრიქონი.

1941 წელს უნდა დავწერო „ეპოქის ავტორის“ მეორე წიგნი და ვიმუშაო ახალ ლექსებზე.

კარლო კალაძე

ეხლახან გამოვიდა ჩემი ლექსების და პოემების წიგნი, ოცი წლისთავისათვის საგანგებოდ შერჩეული და შესწორებული.

გასული წელი გულმოდგინე შრომით დავასრულე. ხოლო ათას ცხრაას ორმოცდა ერთ წელს, მე უფრო მეტი იმედით ვხვდები.

მომავალ წელს დავამთავრებ უთუოდ ჩემს რომანს. დავსწერ ლექსებს. დავსწერ პიესას და წიგნად გამოვსცემ საბავშვო პოემებს, რომელთაც გულდასმით ვამუშავებდი.

ათას ცხრაას ორმოცდა ერთი წელი მეტად სასიხარულო იქნება ჩემთვის.

დემნა შენგელაია

1940 წელს დავბეჭდე რომანი „ცისკარი“ და დავიწყე წერა მეორე რომანისა „შთაგონება“, სადაც ასახული იქნება დიდი მშენებლობა და რეკონსტრუქცია თბილისისა, რომელიც დაიწყო ამხანაგ **ლ. ბერიას** ინიციატივით და ხელმძღვანელობით. რომანი დაბეჭდილი იქნება 1941 წელს. ამავე წელს დავწერე სცენარი რომელშიაც, ნაჩვენებია თბილისის სემინარიის ყოფა-ცხოვრება მე-19 საუკუნის დასასრულის საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე. მომავალ წლისათვის განზრახული მაქვს აგრეთვე დავწერო სცენარი ჩემი ახალი რომანის „შთაგონების“ სიუჟეტის მიხედვით.

რაჟდენ გვეტაძე

1940 წლის განმავლობაში ვწერდი პოემას „ხაშიმ სმირბა“-ს. პოემა იშლება ბათუმში დიდი **სტალინის** არალეგალურად მუშაობის პერიოდის ფონზე.

პარალელურად ვთარგმნიდი ცნობილ ინდურ ეპოსს „რამაიანა-“ს. მომავალ წელს მთელ ჩემს ძალას მოვახმარ „ხაშიმ სმირბა“-ს დამთავრებას. პოემაში დაახლოებით 3000 სტრიქონი იქნება.

აგრეთვე მოფიქრებული და დაწყებული მაქვს დიდი რომანი საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრებაზე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავზე გამოვა ჩემი მოთხრობების კრებული, რომელშიც ასახულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდი.

ალექსანდრე გომიაშვილი

1940 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ჩემი ლექსებისა და ბალადების კრებული „დარიალი“,

დავწერე პოემა სერგო ორჯონიკიძის შესახებ. ვხელმძღვანელობდი რა წინასწარ მოფიქრებული გეგმით, ჩემი მიზანი იყო ამ პოემაში მეჩვენებინა ადამიანები და მოვლენები არა მხოლოდ აღწერაში, არამედ მოქმედებაში. პოემა დაიბეჭდება ახლო მომავალში და ცალკე წიგნად გამოვა საქ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავის აღსანიშნავად.

განზრახული მაქვს 1941 წელს დავამთავრო ჩემი მეორე პოემა „შიოლა ლუდუშაური“ და დავწერო რამდენიმე ბალადა ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებიდან.

იაკინთე ლისაშვილი

1940 წელს მოვამზადე და გამოვეცი ჩემი რომანი „ძახილი მთაში“-ს პირველი და მეორე წიგნი.

მოვამზადე დასაბეჭდად ჩემი მოთხრობების კრებული, რომელიც უკვე დაიბეჭდა სახელგამში და გამოდის ამჟამად.

განვაგრძობდი მუშაობას რომან „კეცხოველზე“. ეს რომანი დავასრულე და განზრახულია მისი გამოცემა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის.

1941 წელს განზრახული მაქვს დავწერო რამდენიმე მოთხრობა და მოვამზადო ჩემი ლექსების ახალი კრებული გამოსაცემად. აგრეთვე უნდა ვიმუშაო ახალი რომანის დასაწერად მასალების მომზადებაზე, რომლის წერას, ალბად, დავიწყებ წლის ბოლოს.

გრიგოლ აბაშიძე

ახალწელს ახალი წიგნით ვხვდები: სახელგამმა დაბეჭდა ჩემი წიგნი, რომელიც წარმოადგენს 1934-40 წლების ჩემი საუკეთესო ნამუშევრის კრებულს.

წელს დავწერე ორი საბავშვო პოემა. ერთი მათგანი უკვე დაიბეჭდა, მეორე გამზადებული მაქვს დასაბეჭდად. ახლახან გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“-ში გამოვიდა რუსულად ჩემი „შავი ქალაქის გაზაფხული“, რომლის თარგმანიც შესრულებულია პოემის ახალ (გადამუშავებულ) რედაქციიდან.

დავიწყე ახალი პოემის წერა. პოემის თემაა ჩემი თაობის საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრება. ამ პოემაზე დიდხანს ვფიქრობდი, იგი უნდა წარმოადგენდეს ჩემს ყველაზე სრულყოფილ ნაწარმოებს (იმათში, რაც აქამდის დამიწერია. ვწერ კლასიკური პოემის გეგმით).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის მოვასწრებ ამ პოემის ერთი დიდი ნაწილის დაწერას, ხოლო მთლიანად გაზაფხულზე დავამთავრებ. გზადაგზა ვმუშაობ პიერ რონსარის, ნავოის, ფრანკოს და სხვათა თარგმანებზე.

დავბერდი? არა!

ი. გრიშაშვილი

ცხოვრებისაგან წყალწაღებული
მე შენს სიყვარულს ჩამოვეკიდე.
გამარჯვებული, გალაღებული
მიყვარხარ კიდევ!

დავბერდი? არა! ლექსების ფერებს
დაჰკრავს სურნელი საუკეთესო,
ნამდვილ სიყვარულს რა დააბერებს,
სულზედ უტკბესო!

ვინ დააწყნარებს მეტეხის მორევს?
ვინ შეაჩერებს ლექსს ნიავქარულს?
მტკვარში ცოცხალ თევზს არვინ გამოლევს,
გულში—სიყვარულს.

და თუ ნელინელ ფშატის ხესავით
ვერცხლის ჭაღარას მეც შევერევი,—
გწამდეს: შენს თვალებს დაუკვნესავი
ვერ შეველევი.

დავბერდი? არა! ლექსების ფერებს
დაჰკრავს სურნელი საუკეთესო,
ნამდვილ სიყვარულს რა დააბერებს,
სულზედ უტკბესო!

მანანის ლუდი

რობერტ ლუის სტივენსონი

ველურ მანანის ყვავილით,
გარდასულ დროში ხშირად
თაფლზე ტკბილს, ღვინოზე მაგარს,
ლუდს ხდიდნენ ცეცხლის პირად.
დამთვრალნი დაიძინებდნენ
ტკბილ-სანეტარო ძილით,
და სარდაფებში ეძინათ
დღისით, ღამით თუ დილით.

სკოტლანდის მეფე ამხედრდა, —
მტერს აუტირა დედა,
გატეხილ პიკტებს*) კვალდაკვალ,
როგორც თხის ფარას, სდევდა.
დევნაში გადაიარა
ველ-მინდვრები და მთები,
მათი ცხედრებით მოფინა
და დაჰრილებით გზები.

ზაფხულს მანანა აყვავდა
ვრცელ მინდვრებში და ველად,
მაგრამ, ვინც ლუდის გამოხდა
იცოდა—გაჰქრა ყველა.
და ყორღანები ჰფარავენ
პიკტის მხედრების ამბავს,
ძველ ლუდისმხდელთა საფლავნი
გადაქცეულან შამბად.

ერთხელ ყოფილა იქ მეფე,
სადაც მანანა ჰყვავის,
სად ჟრიალებენ ჩიტები,
ფუტკრის გუნდები შავი.
მეფე სჯდა ცხენზე მრისხანე,
ძირს დაეხარა სახე:
„მანანის მხარეს ვბრძანებლობ,
ლუდი კი ვერსად ვნახე".

ამ დროს მინდვრებში გადასულს
მისი ლაშქარის ნაწილს
ქვების ქვეშ შეუმჩნევია
ორი პატარა კაცი.
ორთავ შეუკრავს, კაცები
უსიტყვოდ შეხვდნენ ამას.
ორივე პიკტი ყოფილა:
ვაჟი და მისი მამა.

მაღალ უნაგირს მჯდომარემ
გადმოიხედა მეფემ:
მათი თვალები ისროლენ
სევდის, ტკივილის შხეფებს.

უფსკრულის პირთან მირეკა,
უთხრა: „იამინეთ ფიცი:
გაცოცხლებთ. ლუდზე თუ მეტყვით,
რაც საიდუმლო იცით".

ხან თავს ასწევენ, ხან ხრიან,
დგანან მამა და შვილი;
გარშემო ჰყვავის მანანა,
ქვეშ ზღვა ღმუის და ყვირის.
პასუხი მამამ წარმოსთქვა,
ხმა მიუგავდა წივილს:
„მარტოს გაგანდობ, მეფეო,
რაც საიდუმლო მივის.

მე მოხუცი ვარ, სიცოცხლე
მიყვარს სახელზე მეტად".
თან დაუმატა ჩურჩულით:
„შვილთან ვერაფერს ვბედავ".
და ბელურის ხმა იმისი
გახდა მძაფრი და ხმელი:
„გაგანდობ, მაგრამ შვილისგან
შურისძიება მელის.

სიცოცხლე სათამაშოა,
შიში უცნობ არს ყრმისთვის,
მას წინ ღირსების გაყიდვა
გამიძნელდება მისთვის.
მსახურთ უბრძანე, შეჰბოჭონ.
მისცენ ზვირთების დენას,
მაშინ გაგანდობ, თუმცა ფიცით
ხალხმა შემიკრა ენა".

იქვე გაჰკოჭეს თასმებით
მოხუცის ვაჟი მაშინ,
ჯერ აიტაცეს ჰაერში,
მერე ისროლეს ზღვაში.
და ზღვამ ჩაჰყლაპა ძახილი.
წინ რომ უსწრებდა სიკვდილს,
უფსკრულთან დარჩა მოხუცი,
უკანასკნელი პიკტი.

„მე მართალი ვთქვი, ჭაბუკი
საშიში იყო ჩემთვის:
ვინ იცის, ეგებ გაეცა,
რაც დაფარულა დღემდის.
აწ ამაოა მახვილი,
ცეცხლი, წამება ურჩი, —
მანანის ლუდის ამბავი
ჩემთან მოკვდება გულში".

თარგმნა ინგლისურიდან
გივი გაჩეჩილაძემ.

---

*) პიკტები—სკოტლანდის ძველი მკვიდრები იყვნენ, რომელნიც მთლად ამოჟლიტეს სკოტებმა.

მწერალთა კავშირის ახალი წევრები

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა 14 დეკემბრის სხდომაზე მწერალთა კავშირის წევრებად მიიღო: ვ. ავალიანი, რ. მარგიანი, ვლ. უბილავა, ი. შაიშმელაშვილი და ა. შენგელია.

ვასილ ბარნოვის ფილოსოფიისათვის

გერონტი ქიქოძე

თუმცა ვასილ ბარნოვს არავითარი ფილოსოფიური ტრაქტატები არ დაუწერია და არავითარი მეტაფიზიკური სისტემა არ შეუქმნია, მაგრამ ის ქართული ლიტერატურის ისტორიაში დარჩება არა მარტო როგორც დიდათ ორიგინალური მხატვარი, რომელსაც სრულიად თავისებური პოეტური მეტყველება ჰქონდა, არამედ როგორც ულრმესი მოაზროვნე, რომელმაც პასუხი გასცა ფილოსოფიის ძირითად პრობლემებს. როგორც ჭეშმარიტ ბრძენს მას ჰქონდა გაოცებისა და ცხოვრების საიდუმლოების შეგრძნობის ნიჭი, როგორც ჭეშმარიტი ბრძენი ის ყოველდღიური პროზაული მოვლენების უკან მათ ღრმა აზრს სჭვრეტდა. ამავე დროს ის შებოჭილი არ იყო არავითარი ფილოსოფიური სკოლის დოქტრინით და თითქო საკუთარ იდეათა სამყაროში ცხოვრობდა.

ის ჰგავდა ადამიანს, რომელიც ძალიან შორიდან მოდიოდა; ის თითქო საუკუნეების სიღრმიდან იყო გამოსული. ის თითქო წარმართულ სამსხვერპლოსთან მდგარა და ჰიმნი უგალობია ადამიანის მფარველი ცეცხლის გენიისთვის, მას თითქო ბაბილონის კოშკიდან ვარსკვლავიან ცაზე კაცობრიობის ბედისწერა ამოუკითხავს, თითქოს პლატონის დიალოგი მოუსმენია ათინის აკადემიის ხეივანში.

ჩვენ ემპირიული საგნების ქვეყანაში ვცხოვრობთ, მაგრამ ნამდვილია თუ არა ეს ქვეყანა? მართალია თუ არა პლატონი, რომელიც ფიქრობს, რომ ჩვენ გამოქვაბულში ვიმყოფებით ბნელი კედლისკენ პირმიბრუნებულნი, ჩვენს უკან უცნობი არსებანი მიმოდიან ლამპრებით და ქანდაკებებით ხელში, და ჩვენ მხოლოდ მათ აჩრდილებს ვხედავთ კედელზე? შეგვიძლია თუ არა უკან მოვიხედოთ, ან ჯურღმულიდან ამოვიდეთ და მზით განათებული სფეროები დავინახოთ? გრძობადი სამყარო ნამდვილი სამყაროს წინააღმდეგობა ან შერყვნილი გამონაკრთობი ხომ არ არის?

არა, მშვენიერია ეს ქვეყანა, მას ლამპარი კი არა, თვით მზე ანათებს. „იცი, რა სიამოვნებასა ვგრძნობ, როცა მის ბრჭყვიალა სხივებში ვარ გახვეული, როგორც სატრფოს სურნელოვან თმაში?.. თუ გიყვარვარ, ნუ ემალები მზეს. დატკბი მისი ელვარებით, მადლი შესწირე მადლით მოსილსა, თაყვანი ეცი მას: ღვთის თვალია იგი, თვით შემოქმედია იგი ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების მომცემელი... ვზივარ მზის სხივებით გარემოცული, შევმზერ სივრცეს და ვსტკბები ჩემის ყოფნით, ვნეტარობ იმ შეგნებით, რომ ვარ, ვცოცხლობ, ვსუნთქავ, ვსულდგმულობ; რომ გამორკვეულვარ არარაობათა წყვდიადიდან, მომმადლებია ძვირფასი ნიჭი არსებობისა" („დედა").

როგორც მზე, ისე მის მიერ განათებული სამყარო ერთი და იმავე ნივთიერებისაგან შესდგება: „მხოლოდ იგი ნივთიერება არსებობის დაბალ ფარდებში უფრო მძიმეა, უხეში, ბნელი და უფრო ხრწნადი; ზევით და ზევით ჰაეროვანი, ნათელი და მშვენიერი, თავისუფალი, დროის და სივრცის სირებიდან უფრო დახსნილი, უკვე ღმერთქმნილი („სულთა კავშირი").

ცხადია, რომ ბარნოვის შეხედულებით ღმერთი თვით სამყაროშია, ის მხოლოდ მის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. ხრწნადი ნივთიერი არსებობა ეთეროვან არსებობაში გადადის, ეს უკანასკნელი — ზენივთიერში, ღვთაებრივში. ეს გადასვლა ეროსის შემწეობით ხდება, ე. ი. სიყვარულის შემწეობით, ამ ცნების ფილოსოფიური გაგებით. სამყარო ბნელი ქაოსი იქნებოდა, ბრმა ბედისწერას დაქვემდებარებული, თუ ყოვლის შემძლე სიყვარული არ ყოფილიყო, რომელიც მიწას და ზეცას აკავშირებს.

არსთა სიმრავლე პირდაპირ განვითარება არის ერთისა და იმავე დიდი შემოქმედისა, მისი ჩინება. ინდივიდუალობა გამოდის ბნელი ქაოსიდან. ის იტანჯება, ის მარტოა უსაზღვრო და ცივ სივრცეში. ის თავის ტოლს ეძებს. მრავალია მის გარშემო, ის ვერავის ხედავს. აი, გამოჩნდება ნათლის ციაგი; ეს მოციაგე სახე ნივთიერია. სულს შიში, ძრწოლა იპყრობს: „ვაჰ თუ ვერ მიცნოს, არ მითვისოს და დავკარგო თვალთა სინათლე. განმიტაცებს სიკვდილი ბნელი, მოვსწყდები ვარსკვლავს და ვინღა მყვანდეს მანათობლად უსაზღვრო ბნელში?"

სიყვარულის შემწეობით ხდება პიროვნების გადმოშუქება პიროვნებაში, სულთა თანაზრდა, მათი თანაზიარება. ეს არის აგრეთვე უკვდავების თანაზიარება, ვინაიდან სიყვარული უფრო ძლიერია ვიდრე თვით ბედისწერა და სიკვდილი: „ეს ის სირაა, ნათელთაგან გრეხილი სიმი, რომელს არ ჰკვეთს ბედისწერის ბასრი მახვილი, მას დრო ვერ სწვდება და მანძილი მის წინა დნება". მაგრამ თუ სიყვარულის შემწეობით პიროვნება ეთიშება პირველყოფილ არსებობას, მისივე წყალობით ხდება პიროვნების შეერთება მარადისობაზე აბსოლუტთან: „სიყვარული უარყოფაა თავის თავისა სხვის ცხოვრების საშუქებლად. იმას შეუძლიან ეს, ვის შეუგრძვნია ბუნებრივი ერთობა ყოველ ქმნილებასთან" („ფერია").

სიყვარულის დემონით შეპყრობილი სული გრძნობს რომ ის უკვდავია, რომ ის წარსულშიც მუდამ არსებობდა: ბინდბუნდად აგონდება კიდეც, რომ ოდესღაც ისევ ამ ქვეყნად ცხოვრობდა („ტკბილი დუდუკი").

სიყვარულის მეტაფიზიკა ბარნოვს ხელს არ უშლის რეალური ცხოვრების კონკრეტული მოვლენები დაინახოს და სწორად ასახოს. ის იძლევა არა მარტო ფსიქიური განცდის ღრმა ანალიზს, არამედ ამჟღავნებს ყოფაცხოვრების დეტალების, სოციალური გარემოს, ისტორიული წარსულის, საქართველოს გეოგრაფიის დიდ ცოდნას. მის მიერ დახატული ქალვაჟნი ცოცხალი ადამიანები არიან, მხოლოდ ისინი ან ბუნების სტიქიონებთან არიან დაკავშირებული, ცხოველური ინსტინქტებით არიან აღჭურვილი, ქვეწარმავალებს ენათესავებიან, ქვესკნელში მიძვრებიან მცენარისებური ფესვებით, ან, პირიქით, ზეგრძნობად, ეთეროვან სივრცეებში ჰქრებიან თებერასა, ოთარისა, მტკვრის ვაჟ-უშანგისა და განსაკუთრებით იმ ქალების მსგავსად, რომელნიც სახელითაც კი რაღაც ელისეს წალკოტის ყვავილებს ჰგვანან: გულნაზი, ეონა, ყარამფილა, თვალმაისა, დაფინე. ეს ქალები თითქო ნათელი და მსუბუქი სტიქიონის განხორციელებას წარმოადგენენ, მათი ანთებული სული ლამპარივით გამოჰკრთის გამჭვირვალე გარეკანში.

თუ ძირითადი ფილოსოფიური პრინციპები ბარნოვის აზროვნებაში ასე თუ ისე გარკვეულია, იგივე არ შეიძლება ითქვას მის ძირითად ეთიკურ იდეებზე. ალაგ-ალაგ ის თითქო იმ აზრისკენ იხრება, რომ ნათელი იმარჯვებს ბნელზე, სიკეთე ბოროტებაზე, „კარგი ადამიანი რაინდია ნათელი შემოქმედების მხრივ ბნელთან საბრძოლველად გამოსული" („ღიმი დამლუპავი"). მაგრამ ხანდახან მას მორალური სკეპტიციზმი, თვით მორალური ნიჰილიზმი იცავს: არც ადამიანის ცხოვრებას, არც სამყაროს არსებობას არავითარი ზნეობრივი მიზანი არ აქვს, ყოველივე ბრმა შემთხვევაზეა დამოკიდებული. თვით ღმერთი სიკეთის და ბოროტების გარეშე იმყოფება, თვით მას ვერაფერი გაუგია სამყაროს შინაგანი აზრისა. „უზარმაზარია არსებობის იგი ბორბალი. უშველებელ საბრუნზედ მიტრიალებს და მარად მიდის. მიაქანებს შემოქმედთ, შექმნილ სამყაროებს, არსსა ყოველსა... არ არსებობს მისთვის ავი თუ კარგი, სიხარული ან სიმძიმილი, ჰაზრი მქმედი, არც დამთქმელი. ფიქრთ უქონლობა!.. რა არის მისთვის პიროვნების განცდა ძლიერი, თუნდ ხალხის, კაცობრიობის? არც რა, სრულიად არაფერი... გსურს გაიგო შენ მიზანი უყენებელ მოქმედებისა? დაფარულია შემოქმედთათვისაც" („სულთა კავშირი").

თუმცა არის ერთი მომენტი, რომელსაც კორექტივი შეაქვს ამ კოსმიურ პესიმიზმში. ეს არის მუდმივი განმეორების იდეა. ყოველივე მეორდება დროების ჩარხის დაუსრულებელ ბრუნვაში, მაგრამ მეორდება ისე, რომ არსებობა უფრო მაღალ საფეხურზე ადის. თავის „მტკვრის ვაჟის" დასასრულში, სადაც თითქო სული სულთან მღელვარე დიალოგს მართავს, ვასილ ბარნოვი სიკეთის საბოლოო გამარჯვებას ადასტურებს:

— „იქნება მთანიც, მტკიცე კლდენიც სიკვდილს ელიან?!

— ოღონდაც.

— ქვეყანაზედ ყოველივე სიკვდილს მორჩილებს?

— თითონ ქვეყანაც!

— თვით სამყაროც მოსპობას ელის?!

— მიცვალებას ჟამთ დასასრულში.

— და აღარ დარჩეს არარაი ღვთის ქმნილებიდან?

— ყოველივე მიიცვალოს და ისევ იშვას!

— მოკვდეს და აღსდგეს?!

— მიიცვალოს და კვლავ განახლდეს თანისთანად ნათელქმნილი, სიკეთით სავსე.

— და როდემდისინ?

— სამუდამოდ მოსპობამდინ ბნელ-ბოროტისა".

ვ. ბარნოვის ფილოსოფიურ აზროვნებას თითქმის არაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ ფილოსოფიურ აზროვნებასთან. ამ მხრივ ის უფრო ახლო სდგას ბუდისტურ სპეკულიაციასა, ზოროასტრის დუალიზმსა, ქალდეურ კოსმოგონიასა, ელინურ სიბრძნესთან. მაგრამ თავის პრაქტიკულ ეთიკასა, თავის კაცთმოყვარეობის და შეწყალების მორალში ის არსებითად მაინც ქრისტიანად რჩება. მართალია, მის ქრისტიანულ ჰუმანისტურ მორალშიც ძლიერი პანთეისტური ნაკადი იჭრება. „ღრუბლებიც სიცოცხლით არიან სავსენი, სიხარულით დასცურავენ ცის სივრცეში... და მოკლული ნადირის სისხლი თანასდევს მსროლელს ორთქლის რამ სახით. მეტად მქრქალია იგი მეწამული ოხშივარი, მაინც ჰხედავს მას განმახული თვალი ნათელი" („ფერია").

თავისი მოთხრობის „ნაძვნარის დევის" მთავარი გმირის ონოფრეს მსგავსად ვასილ ბარნოვს, როგორც ერთერთ ოსტატს, ტაძრის აგებაზე მოუხდა მუშაობა ქრისტიანულ ეპოქაში, მაგრამ ნაძვნარის დევის მსგავსად მასშიც მშვენიერი ქალის დანახვაზე ძლიერმა წარმართულმა სულმა გაიღვიძა სტიქიონური ძლიერებით; და ის შეეცადა ქრისტიანების ეკლესიის გვერდით მშვენიერი კერპის ქანდაკება დაედგა.

ვარდის სტუმარი

გონდო კეშელავა

იმ შენს ეზოში უძველესი ხე იყო ვარდის,
ჩაის ვარდისა, შენი ფერი თეთრი ვარდის ხე.
მიყვარდა იგი და იმ ვარდის ცა და ლაჟვარდიც;
დღეს მას ვიგონებ, მომისმინე, გთხოვ, არ განრისხდე.

გაზაფხულისას როს იწყება ყვავილთ ფურცლობა,
მოკრძალებული მე სტუმარი ვიყავ იმ ვარდის.
ხმით არა, მაგრამ წამწამებით მახსოვს ურჩობა,
გენანებოდა მის შტოებში ხელის ნავარდი.

გენანებოდა ვარდი ჩემთვის ველარ იშველა
ვარდთა სიუხვემ, წამწამები მაინც დნებოდა,
ეხ, როგორ მახსოვს, ლამაზ ასულს, თვალებ გიშერას,
მგოსნისთვის ვარდი, თეთრი ვარდი გენანებოდა.

და რა ხანია, არ ვწვევივარ შენს ბაღს და ეზოს,
იქნებ გაწუხებს, დაგეუფლა სირცხვილის დარდი,
უნდა იცოდე, არ წავსულვარ მე უმიზეზოთ,
მინდა გაიგო, რად არა ვარ სტუმარი ვარდის.

არ ვჩივი, არა, თუნდ განრისხდე და გამერიყო,
ვამბობ სიმართლეს, რადგან გულის დასტური არი.
როცა ვარდები ხარობს ირგვლივ, არ მინდა ვიყო
მე წამწამებით აკრძალული ვარდის სტუმარი.

კ ა ხ ე თ ი

იოსებ ნონეშვილი

აი, კახეთი...
მუხლებმაგარი,
გომბორი მხრებით ცას რომ ეხება.
მონაცრისფერო ფრთხილი ვერხვები
და შეთოვლილი მთების ფაფარი.

ვაზები დილის ნამნასხურები,
ცა ყვავილებით სავსე კალათა,
დაოქროვილი ხოდაბუნები
და ნამუხლარი მამა-პაპათა.

აი, კახეთი....
ზავთით, ზრიალით
უნავარდია მტერს ამ ტრამალზე;
ხარირემ მოკლულ ფურებს ლამაზებს
ცრემლი სდენიათ ალაზნიანი.

აქ ირხეოდა ხმები ლაშქრულის
და მტრებზე რისხვით მთებიც ფეთქობდა.
ვაჟკაცთა სისხლით იჟანგებოდა
მიწა წყურვილით გულდამშრალი.

აი, კახეთი...
მთებზე, ველებზე,
რომ არ ცხრებოდა ხმლების თარეში—
თვალმოციმციმე ქალიშვილები
ყვავილებივით სჩანან ყანებში.
ზოგან ალაზნის ტალღა ჩაიმღერს,
ზოგან [illegible] ზვირთი იორის;
შორს აქლემების ქარავანივით
მიიზლაზნება კავკასიონი.

ნაციხარებიც ჰყვავის ამიერ
ათასი ბრძოლით გადაბუგული—
და დარბაისელ მრავალჟამიერს
გულიდან გულზე გააქვს გუგუნი.

წმინდაა, როგორც დედის მანდილი,
ჩემი ლამაზი ქვეყნის მიდამო.
მინდა სიმღერამ მოვარდნილმა
გულის ფესვები ამოიტანოს.

მსურს ამ მიწაზე ძირჩანერგილი,
მეც ვშრიალებდე როგორც ჩინარი,
რომ სიკვდილამდე გზას მიჩალებდეს
ეს სილამაზე დაუჩრდილავი.

დისპუტი კონსტანტინე გამსახურდიას ახალი რომანის გარშემო

7 იანვარს მწერალთა კლუბში საღამოს 8 საათზე შესდგება დისპუტი კონსტანტინე გამსახურდიას ახალი რომანის „ბელადის" გარშემო.

მოხსენებას გააკეთებს ამხ. დ. ბენაშვილი. კამათში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები.

კ ო ბ ა

ა. ბელიაშვილი

ყოველი კუთხიდან მოაწყდნენ იმ საღამოს სოფელ კუხს გლეხები, გორა-ჯიხაიშიდან, ქვიტირიდან, დიდი გუბიდან, ზემო - მაღლაკიდან, საწულუკიძეოდან, ნახახულევიდან, ხონიდან მოდიოდნენ გლეხები, მოხუცები და ახალგაზრდები. ხმა გავრცელდა — სოციალისტებს დიდი დავა და კამათი აქვთ გამართული კუხში და მენშევიკებს იმისთანა მოლაპარაკე ჩამოუყვანიათ, რომ ენით ქვას ხეთქავსო. სოფლის ყოველ ორღობეში გაისმოდა შეძახილები.

— ნიკიფორე, წამო თუ მოდიხარ!

— კოსტაიე, გამოადგი ფეხი! დიმიტრიასაც დოუძახე ბარემ.

— წამოი, ახლა, კაცო, მაგ ცოლი არსა გაგექცევა!

— მოვდივარ, მოვდივარ, ჩაბალახი გამომიტანე, ქალო, ერთი.

ძუნძულით ეწეოდნენ ერთმანეთს გლეხები, სოფლის შარაზე აჩქარებულად მიაბიჯებდნენ, გზადაგზა მეზობლებს გასძახოდნენ და ყველანი კუხის ორკლასიან სასწავლებლისაკენ მიისწრაფოდნენ, რომლის მოლით აბიბინებულ ეზოში უნდა შემდგარიყო კრება.

ჯერ კიდევ მზე ჩასულიც არ იყო, რომ ეს დიდი ეზო ხალხით აივსო. ყველანი ჯგუფჯგუფებად იდგნენ და ხმამაღლა მასლაათობდნენ. აქა-იქ ისმოდა მხიარული სიცილი. ეზოს ბოლოში გუბელმა ბიჭებმა სიმღერაც კი წამოიწყეს. ხალხი კი განუწყვეტლივ ემატებოდა და მალე ეზო ისე გაიჭედა, რომ ქუდის დასადები ადგილიც არსად იყო.

სკოლიდან მაგიდა და სკამები გამოჰქონდათ. სიმღერა და ხმამაღალი ლაპარაკი მიწყნარდა. ყველანი ცდილობდნენ წინარიგებში მოქცეულიყვნენ და შეიქმნა ერთი ჯიკავჯიკავი. განსაკუთრებით ცდილობდა წინ მოხვედრას ასი წლის პავლია. დიდი ჯოხი ეჭირა ხელში ბიბლიური მოგვივით და თეთრი წვერი ისე მოქცეოდა გვერდზე, თითქო ზედ ქარი უბერავსო.

— გამიშვით წინ ეს ბერიკაცი! — იძახდა პავლია — თქვენ ახალგაზრდები ხართ და ქე გეიგონებთ, მე პატარა ყურს მაკლია...

— ჰაა, რა გინდა, პავლია, მაგ სიგრძე ჯოხით რომ მორბიხარ წინ?

— იარაღი კარგი ქონია პავლიას.

— გოუშვით წინ პავლია, თვარა დაგვერია ჯოხით.

ნელნელა დალაგდნენ. წინა რიგებში მყოფნი მოლზე დასხდნენ. ზოგმა ფეხი მოიკეცა, ზოგი მხართეძოზე წამოწვა. პავლიამაც მონახა ადგილი, ყველაზე წინ მოექცა, მოხერხებულად ჩაჯდა და ჯოხი წინ დაიწვინა.

— პავლია, თუ ვინმემ გული მოგაყვანიოს, რეხვე მაგ ჯოხი თავში! — გაეხუმრა კუხელი ილიაიე.

— რაიო, ბოშო?

— თუ ვინმემ გული მოგაყვანიოს, დოურთე მაგ ჯოხი თავში!

პავლემ ჩაიქირქილა და ხუმრობით ჩაიფარა თავში ილიაიეს თავისი კოჟრიანი ხელი.

— პავლია, შენი ჯოხი გატენილი ხო არაა? — ახლა მეორე მხრიდან წაეპოტინა ჯოხს მაღლაკელი იასონა.

— გოუშვი, ბოშო, ხელი თვარა....

— თვარა შეიძლება ქე გავარდეს ერთბაშათ, — დაამთავრა იასონამ.

ახლო მყოფებმა გაიცინეს.

— მოიცათ, კაცო, სუ! — დაიძახა ვიღაცამ. — იწყება, ვერ ხედავთ?

— სიჩუმე, ამხანაგებო, სიჩუმე! — გაისმა ხალხში.

ხალხი მიწყნარდა.

აქა-იქ კიდევ გაისმოდა ხმადაბალი ლაპარაკი.

ხეების ტოტებ-ქვეშ მოსჩანდა ჩამავალი მზე. უცნაურად ლივლივებდა მისი დისკო თითქო დნობას აპირებსო. ღრუბლებში ერთი სხივი გაეძვრინა მზეს, მაღლა აეტყორცნა და ამ სხივის ფუნჯით უნებურად შეეღება გედივით აცურებული ღრუბლის მკერდი.

აღმოსავლეთიდან სახე გაფითრებული მთვარე ამოპარულიყო და ისე გარინდულიყო ცაზე, თითქო გაკვირვებოდა ამდენი ხალხის ერთად შეკრება.

საღამოს ნიავი ოდნავ არხევდა ხეების კენწეროებს.

მაგიდას შემოუსხდნენ.

ხალხში ჩურჩულით იმეორებდნენ მათ გვარებს ან პარტიულ სახელწოდებებს.

კრების თავმჯდომარემ ხალხი შეათვალიერა, მაგიდაზე რაღაც ქაღალდები დააწყო და გამოაცხადა:

—ამხანაგებო, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სადისკუსიო კრებას გახსნილად ვაცხადებ.

O

კამათი უკვე გაცხოველებული იყო, როდესაც თავმჯდომარემ გამოაცხადა — სიტყვა ეძლევა ამხანაგ მოხევესო. ხალხი შეირხა. ზოგიერთები ფეხზე წამოდგნენ, რომ მოლაპარაკე დაენახათ. მაგიდასთან იდგა დაბალი ხმელი კაცი მოკლე წვერით და თავზე ჩვეულებრივი ფეტრის ქუდით.

ხალხში ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— ვინაა ეგ?

— მენშევიკია, კაცო, ვერ ხედავ?

— ბიჭო, რავა ერთი თარგიდან გამოჭრილს ჰგავან ეს მენშევიკები, კი ვერ გაარჩევ რომელი რომელია.

— ვნახოთ ერთი, რას იტყვის.

ხალხი მიჩუმდა. მოხევემ ჩაახველა და ის იყო მოემზადა სალაპარაკოდ, რომ ამ დროს უკანა რიგებში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა, ყველანი შემოიშალნენ.

— კობა მოვიდა, კობა! — დაიძახა აღტაცებული ხმით ვიღაცამ.

— კობა მოვიდა!

— სად არის?

— დაგვანახეთ!

ყველანი ჭიშკრისკენ გაიქცნენ ხალხი აირია. გაისმა ტაშის ხმა. მენშევიკები გაბრაზდნენ და ყვირილი ასტეხეს.

— რა ამბავია, რა მოხდა?

— დაწყნარდით, ამხანაგებო!

თავმჯდომარე გაცხარებული უბაგუნებდა მუშტს მაგიდაზე, მაგრამ მას ყურს არავინ უგდებდა. ყველანი შესაგებებლად გარბოდნენ ჭიშკრისკენ. მინდორზე მხოლოდ აქა-იქ იჯდა უძრავად რამდენიმე კაცი.

განსაკუთრებით მოხევე იყო შეფოთებული. ამ მოულოდნელმა ამბავმა სულ დააბნია. კობასთან კამათი ძალიან ძნელი იყო. მერე და ხალხი მთლიანად თავის მხარეზე მიაჩნდა, ახლა კი კობას გამოჩენამ და ხალხის მისაგებებლად აშლამ სულ აურია დავთრები. ჯერ იმისთვის უნდა ებრძოლა, რომ ხალხის განწყობილება თავის მხარეზე გადმოებირებინა და მერე იმაზე უნდა ეფიქრა, თავისი ცოდნის ერთი ციცქნა მარაგით როგორ შეკამათებოდა კობას. უცბად ბედნიერმა აზრმა გაუელვა თავში. ამას წინად გაიგო, რომ ლენინს დაუწერია წიგნი „რა ვაკეთოთ". სულ რამდენიმე ეგზემპლარი ყოფილა რუსეთში. კავკასიამდე ჯერ არ მოუღწევია. კობას ის არც ექნება წაკითხული. მართალია, არც თვითონ წაუკითხავს, მაგრამ მოსდგება და მაინც გააკრიტიკებს ამ წიგნს.

— ჰმ!—ჩაახველა მოხევემ და სახეზე სიამოვნება გამოეხატა. წინასწარ ზეიმობდა გამარჯვებას.

ხალხი მალე დალაგდა, თუმცა ახლა უფრო გაცხარებით ცდილობდნენ წინა რიგებში ადგილის დაჭერას. ასი წლის პავლია მაინც წინ მოექცა, თითქმის მაგიდასთან მოიკეცა და თავისი გრძელი ჯოხი წინანდებურად დაიდო წინ.

კობას ვიღაცამ ტაბურეტი მიურბენინა. მაგიდასთან დაუდგა. კობამ არ ისურვა მაგიდასთან ჯდომა. ხალხში ირჩია ყოფნა. პარტიული ამხანაგები ყველანი მასთან შეჯგუფდნენ.

მოხევემ დაიწყო ლაპარაკი. ცოტა უკან გადაიზნიქა, საჩვენებელი თითი მაღლა ასწია და ყოველ თავის მოსაზრებას თითის ქნევით დაუწყო დასაბუთება. ხანდახან ტროსტს მარცხენა ხელიდან მარჯვენა ხელში დაიჭერდა და თითის მაგიერ ტროსტს იქნევდა. თანდათან აზარტში შევიდა, გახურდა, ჯერ ტროსტი გადადო განზე, ქუდი მოიხადა და თითის მაგიერ ქუდის ქნევით ასაბუთებდა თავის მოსაზრებებს. ხმას ნელნელა აუწია, შუბლზე ოფლი ჭრელი ცხვირსახოცით მოიწმინდა და ლოტბარივით ახლა ორივე ხელი აამოქმედა. ხანდახან ხელს ქვემოდან ზევით გააქანებდა, თითქო ბურთის დაჭერას ლამობსო, და ცოტას კიდევაც შეხტებოდა ხოლმე.

— რაში გვედავებიან ჩვენ მეუმრავლესეები? — მოხევეს ოდნავ ხმა ჩაეხრინწა, — რას ამბობენ ბოლშევიკები? მაგათმა ბელადმა ლენინმა დასწერა წიგნი „ჩტო დელატ". ესე იგი „რა ვაკეთოთ", დიახ, „რა ვაკეთოთ". რას გვეუბნება ის ამ წიგნში?

ის ლაპარაკობს ამ წიგნში, თუ რა უნდა ვაკეთოთ, რა უნდა გააკეთოს სოციალ - დემოკრატიამ. ჭკუას გვარიგებს (მოხევემ იხუმრა, ეგონა გაიცინებდნენ. არავინ არ გაიცინა). რას ამბობს ის ამ წიგნში? მეთექვსმეტე გვერდზე ის წერს — მართალია მე ის წიგნი ამჟამად ხელთ არა მაქვს, იძულებული ვარ ზეპირად მოვიყვანო ციტატა, მაგრამ იმედია, მენდობით, — ის სწერს: ჩვენი მიზანია მარტოდ მარტო მარქსიზმის თეორიების შესწავლა და დანარჩენი თავისთავად მოვაო...

ბოლშევიკების ჯგუფში ჩოჩქოლი ატყდა. ხალხიც ახმაურდა. მოხევემ ეს თანაგრძნობის ნიშნად ჩასთვალა და ხმას იმდენად აუწია, რომ კინაღამ მთლად არ ჩაუწყდა.

— ამიტომო, — ამბობს ლენინი, —ჩვენ რევოლუციონურ ბრძოლაზე ხელი უნდა ავიღოთ და სანამ ყველა არ გაპროლეტარდება, უფლება არა გვაქვს არც ეკონომიური ბრძოლისა, არც პოლიტიკური ბრძოლისა, რადგანაც გლეხებს პარტიაში ვერ. მივიღებთ და პროლეტარიატი ჯერ კიდევ ცოტააო...

უეცრად კობამ ხალხის რიგები გაარღვია და მაგიდასთან მივიდა. მოხევე გაჩერდა და გაოცებული თვალებით შეაცქერდა კობას.

კობამ ჩაიყო გულის ჯიბეში ხელი, ამოიღო წითელ-ყდიანი წიგნი და მოხევეს გაუწოდა:

— აი ლენინის წიგნი „Что делать?" აბა, გვიჩვენეთ, სად ლაპარაკობს ლენინი „ჩტო დელატში" იმას, რასაც თქვენ აწერთ?

კიდევ ერთ წუთს იყო დაძაბული ხალხი, მაგრამ როდესაც მოხევე დაიბნა და ხელები აუკანკალდა, ხალხში უცბად იფეთქა სიცილმა. მოხევე უფრო დაიბნა. შუბლზე ცივი ოფლი მოიწმინდა. თავმჯდომარემ თავგამეტებით დასცხო მუშტი მაგიდას, მაგრამ ამან უფრო გააღვივა მხიარული განწყობილება.

მოხევემ ჯერ თითი ასწია, მერე ტროსტი დაიჭირა ხელში, ქუდი დაიხურა, ისევ მოიხადა, მაგრამ ხმის ამოღება მაინც ვერ მოახერხა.

— ამხანაგებო!...—ამოიხრიალა ბოლოს ძლივს. — ამხანაგებო!..

სიცილი მაინც არ შეწყდა. გაისმა წამოძახილები:

— აუჰ! თუ არ წაგიკითხავს, რას მიედმოედებოდი?

— გვატყუებდი შენის ჭკუით?

— ძალიან მოკამათე ყოფილა!!

— ერთი ჭყინტი ყველი მაინც მოუტანეთ, იქნება მოერიოს ენით...

თუმცა ენა კი ქონია გატლეკილი, ჭკუა არ ქონია თვარა!

— დოხტური მოგვარეთ, ენა გაუსინჯოს!..

მოხევემ კიდევ სცადა ხალხის დაწყნარება, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა. ყოველი წამოძახილი ხალხში მის მიმართ თავშეუკავებელ სიცილს იწვევდა და ზოგიერთები ცრემლებსაც კი იწმენდნენ.

ვერც თავმჯდომარის მაგიდაზე მუშტის ცემამ გააჩუმა ხალხი, მაგრამ ამ დროს ფეხზე წამოდგა ასი წლის პავლია და ხელი მაღლა ასწია. აქა-იქ გაისმა:

— გაჩუმდით!

— მოიცათ, პავლია ლაპარაკობს რაცხას...

— სიჩუმე სსს!

როდესაც სრული სიჩუმე ჩამოვარდა, პავლია მიუბრუნდა მოხევეს:

— ბაბუა, ერთი სიტყვა მინდა ვთქვა და მათქმიეთ...

— სთქვი, ბიძია, სთქვი! — მოხევეს გულზე მოეშვა. კარგ დროს მოეშველა მოხუცი. — სთქვი, ბრძანე!

— რა გითხრა, ბაბუა, იცი, — პავლიამ თავისი ჯოხი მხარზე მიაყრდნო: — ეს ამდენი ხალხი რომ მოვსულვართ აქ, ჩვენ გვინდა, რამე კარგი, ხალხისთვის სასიკეთო ამბავი გავიგოთ და ვისწავლოთ. აქ იმიტომ მოვედი, რომ ხალხს თუ რამე ეშველება, იმის სიმართლე გავიგო და შენ აქ ტყუილებს კადრულობ?!

— ოჰ, კარგი ერთი! შენ ბევრი გესმის? ტყუილს ვლაპარაკობ თუ მართალს! — გაბრაზდა მოხევე.

— რაიო?.. — პავლიაც აპილპილდა: — მე ბევრი შეიძლება ვერ გავიგო, უსწავლელი კაცი ვარ, მარა გულით ვიგრძნობ მართალს და მტყუანს...

— კარგი, კარგი, დაჯექი მაშ! დაბერებულხარ, შე უბედურო, და მთლად გამოჩერჩეტებულხარ...

მეტად მოხდენილად იცოდა პავლიამ თავისი ჯოხი თავში ჩაკაკუნება, თუ ვინმე გაბრაზებდა. გაჯავრება კი სასტიკ იცოდა. ვერც კი მოასწრო მოხევემ სიტყვის დამთავრება, რომ... რახ! გაადინარეხვა მოხევის თავზე პავლიას ჯოხმა.

სიცილი ატყდა, პავლია როგორც იქნა დაამშვიდეს.

O

ყველა შესცქეროდა მაგიდასთან მდგომ კობას. მან ლენინის „რა ვაკეთოთ" ცალი ხელით მოკეცა და ფურცლები შრიალით გადაფურცლა. უკანა რიგებშიაც კარგად ისმოდა როგორ ტკაცუნებდნენ ფურცლები.

მერე თავი აიღო და ხალხი შეათვალიერა.

— ამხანაგებო! — დაიწყო კობამ დინჯად და აუღელვლად, — ლენინი ეს შესანიშნავი წიგნი მეხივით დაატყდა თავს ყოველგვარი ჯურის ოპორტუნისტებს, „ეკონომისტებს".

კობა ერთ წუთს შედგა. წიგნს დახედა. ხალხი სულგანაბული უსმენდა.

მსმენელებს უბრალო შეკითხვითაც კი არ სურდათ სიწყნარის დარღვევა.

კობამ, მშვიდი, სასიამოვნო ხმით განმარტა, თუ ვინ იყვნენ „ეკონომისები". შემდეგ ლენინის [illegible] ხელში აიღო და გაღიმებული თვალებით შეხედა ხალხს:

— ლენინმა ამ წიგნით — „რა ვაკეთოთ" — სასტიკად გაილაშქრა „ეკონომისტების", ამ ოპორტუნისტული ფილოსოფიის წინააღმდეგ და მათ ქვა ქვაზე არ დასტოვა.

გატაცებით ლაპარაკობდა კობა იმის შესახებ თუ რა დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ლენინის „რა ვაკეთოთ", რომელიც იძლევა მარქსტული პარტიის იდეოლოგიურ საფუძველთა გენიალურ დამუშავებას, რომელიც რაზმავს მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სულგანაბული უსმენდნენ ყველანი და ვერავინ ვერ შეატყო, როგორ შეწითლდა ცა აღმოსავლეთისაკენ და როგორ დაათენდათ ყველას [illegible].

გატაცებით მოლაპარაკე კობას ეგებოდა იმერეთის ცოცხალი დილა, ლაღად ამოსული მზე და თანამგრძნობი ხალხის ტაშის გრიალი.

„ღალატი" რუსთაველის თეატრში

ქართულ სცენაზე ა. სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატის" დადგმას წარსულში განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ.

პირველად „ღალატი" 1904 წელს დაიდგა. აღსანიშნავია, რომ პირველი დადგმის ინიციატორი და ხელმძღვანელი დიდი პოეტი აკაკი წერეთელი იყო. ის იყო პირველი რეჟისორი ამ დადგმისა ქართულ სცენაზე. მას შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში „ღალატი" არ მოშორებია ქართულ სცენას.

ამასთან არ ყოფილა არც ერთი ღირსშესანიშნავი წარმომადგენელი ჩვენი არტისტული წრეებისა, რომ თავისი ძალა არ გაეზომა ამ პიესაში მონაწილეობით. პიესა დრამატიულად მეტად ეფექტიურია. ამიტომ სთვლიდნენ ჩვენი არტისტები საპატიოდ ამ პიესაში მონაწილეობას. ყოველ როლს თავისი შესანიშნავი შემსრულებელი ჰყავდა.

ვისაც უნახავს, მას არასოდეს არ მოშორდება მეხსიერებიდან ვალერიან გუნია ოთარბეგის როლში. ამ როლში თავისუფლად გრძნობდნენ აგრეთვე თავს შალვა დადიანი და ს. ყალაბეგაშვილი. მარო მდივანი რუქაიას როლში წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ეს როლი განუსახიერებია აგრეთვე კარგარეთელს. მნახველს დღესაც ჰყავს წარმოდგენილი არადელი-იმხნელი ანანიას როლში. მაგრამ. სპექტაკლის გვირგვინი ყოველთვის ნუცა ჩხეიძე იყო, სცენას რომ ცოცხალი ზეინაბის სახით ამშვენებდა. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი მხატვრული სახე არ ყოფილა ისეთი ძალით გამოძერწილი ნუცას მიერ, როგორც ზეინაბის სახე. ამ სახეში გრძნობდა არტისტი თავისი ქვეყნის წარსულს, მის ვარამსა და მთრთოლვარე ცრემლს. ზეინაბის სახით მას წარმოდგენილი ჰქონდა ამავე დროს თავისი ქვეყნის გმირული ბრძოლა, თავდადება, ყოველივეს დათმობა სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ამის შედეგი იყო გმირული პათოსი, რომლითაც ასე უხვად ჰყავდა დაჯილდოვებული არტისტს თავისი ზეინაბი.

პიესის დადგმა ეკუთვნის სსრ კავშირის სახალხო არტისტს **ა. ხორავას.** „ღალატის" დადგმისას მის წინაშე, ისე, როგორც შემსრულებელთა წინაშე, რთული ამოცანა იდგა. აკ. ხორავამ ამ დადგმით დიდი უნარი გამოამჟღავნა. სპექტაკლი წაიყვანა გმირულ-რომანტიული პათოსის გზით. ა. ხორავამ დასძლია ის ნაკლი, რომელიც ამ პიესას ახასიათებდა, და იგი უფრო ცოცხალი, მისაღები გახადა. სპექტაკლი ცხოვრების სინამდვილეს დაუკავშირა. რა არის ის ახალი, რაც ხორავამ ამ პიესის დადგმაში შეიტანა? ის, რომ ახლანდელი სპექტაკლი ჟღერს როგორც ხალხური. წარსულში ჩვენ ვხედავდით და ვგრძნობდით სცენაზე გამართულ ბრძოლას ზეინაბისას, დათოსას. მაგრამ ეს ბრძოლა მოკლებული იყო საფუძველს, ძალას, რომელსაც იგი ემყარებოდა. ჩვენ გვესმოდა ზეინაბის მხოლოდ დეკლამაციური განცხადებები ერისა და ხალხის შესახებ. ნამდვილად ეს ხალხი სცენაზე არა სჩანდა. იგი ბრძოლის მიღმა იდგა. სპექტაკლი მოკლებული იყო ნამდვილ წამყვან ძალას—ხალხურ გარემოცვას. განახლებულ სპექტაკლში ეს დიდი და საფუძვლიანი ნაკლი აცილებულია. მაყურებელი ხედავს და გრძნობს, რომ ერთეულ გმირთა ბრძოლა განმტკიცებულია ამ ბრძოლაში ხალხის უშუალო მონაწილეობით.

მასობრივი სცენები, რომლებიც დამდგმელს ჩამატებული აქვს, პიესასთან ორგანულ კავშირშია. ეს სცენები ბუნებრივად გამომდინარეობენ პიესის შინაარსიდან და ა. ხორავას დიდ მხატვრულ უნარსა და გემოვნებას უნდა მიეწეროს ის, რომ დასახელებულ სცენებს სპექტაკლში შესაფერი ადგილები აქვთ მიჩნეული. ა. ხორავას დიდი მხატვრული გამომგონებლობის შედეგია ეს სცენები, რომლებიც სცენას ავსებენ, მეტ შინაარსს აძლევენ. ამ მიმართებით უნდა გამოჰყოს მეორე მოქმედების პროლოგი, გორის ახლომახლო სოფლების გლეხთა საიდუმლო კრება და მზადება აჯანყებისათვის.

ხალხის გულში ღრმად ჩამარხული ეროვნული სევდით და იმავე დროს მომავლის იმედით არის გამსჭვალული სცენა, რომელიც მცხეთასთან გაშლილ ბანაკს წარმოადგენს. გლეხთა გულში თავისი ქვეყნის დიდი სიყვარული ღვივის. ვერც ცეცხლსა და ვერც ხმალს ეს სიყვარული მათი გულიდან ვერ ამოუგლეჯია. ისინი ნიშანს ელიან, რომ აღსდგნენ და მტერს გულდაგულ ეცნენ. ასე ახლო ჰგრძნობს და განიცდის დამდგმელი ხალხის გულისნადებს. მისასალმებელია აგრეთვე პირველ მოქმედებაში მხევალთა ცეკვის სახით მასობრივი სცენის ჩამატება. ესეც პიესის რემარკის მოხერხებული გაშლაა და არა აღმოსავლური ეგზოტიკის გაცოცხლების ცდა. ვიმეორებთ სპექტაკლი მხატვრული ხარისხის მაღალ დონემდეა აყვანილი, მასში დანახულია ახალი შინაარსი და ამიტომ მისი ავტორის ა. ხორავას უეჭველი გამარჯვებაცაა. სპექტაკლის ყოველი დეტალი დამდგმელის ხელისა და გემოვნების თვალსაჩინო კვალს ატარებს.

სპექტაკლის გამარჯვებას ხელს უწყობს აგრეთვე მხატვრული გაფორმება, რომელიც **ი. გამრეკელს** ეკუთვნის. გამრეკელი მშვენივრად იყენებს მიღებულ საშუალებებს და, რაც მთავარია, საკუთარ გამოგონებას, არტისტულ ინტუიციას და ეპოქის დამახასიათებელ, შესანიშნავ, მაღალმხატვრულ ნაწარმოებს ჰქმნის. ერთნაირი მხატვრული ინტენსივობით და ენერგიით არის გაფორმებული ყველა მოქმედება. სოლეიმანის სასახლის ტერასა-აივანი პირველ მოქმედებაში, ოთარ ბეგის ბაღი გორის მახლობლად, მეორე მოქმედებაში, ბანაკი მცხეთის მიდამოებში, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, სადაც მშვენიერი პერსპექტივაა მოცემული მთებისა და მდინარის სახით, ღრუბლების ქროლვა, და შემდეგ ბუნების ძალთა მშფოთვარება, წინათგრძნობა დიდის მოლოდინში. საერთოდ მთელი გაფორმება მოცემულია ჰარმონიულ მთლიანობაში მოქმედებასთან.

სპექტაკლის გვირგვინად ისევ **ნუცა ჩხეიძე** დარჩა. მისი ზეინაბი ტემპერამენტით არის შემკობილი. საოცარი ნიჭით არის დაჯილდოვებული არტისტი: იგი ხმის ინტონაციითაც კი, თითქოს შეუმჩნევლად, ხაზგაუსმელად, ახერხებს გამოჰყოს მთავარი და მიიტანოს იგი მაყურებლამდე. ეს ინტონაცია ყოველთვის გარკვეული გრძნობების გამომხატველია. იშვიათად უნახავს ქართულ სცენას ასეთი ხმის პატრონი არტისტი. იგი გულის სიღრმიდან მოდის და ისეთი ძალით არის დაჯილდოვებული, რომ არ შეიძლება არ ერწმუნო თქმულს. სიტყვის თქმის მანერა, ინტონაცია იმდენად გულწრფელია, იმდენი ცეცხლია მასში, რომ იგი თითქოს ზედმეტად ხდის არტისტისათვის მიმიკისა და ჟესტის გამოყენებას. თუმცა საჭირო შემთხვევაში არც ამ ბასრ იარაღს ივიწყებს იგი. განსაკუთრებით ძლიერია არტისტი მაშინ, როცა მის სახეს მწუხარების, ტანჯვის ჩრდილი ეფინება. სიტყვაც არაა საჭირო მაშინ, საკმარისია შეხედოთ მისი სახის გამომეტყველებას, რომ თვალწინ ხორცშესხმული მწუხარება წარმოგიდგეთ. ზეინაბი მეტად რთული როლია იმ მხრივ, რომ იგი თითქოს ორი სახის მატარებელია: ერთგული მხევალი. სოლეიმანის, თავისი ქვეყნის ამწიოკებელ-ამკლებისა და იმავე დროს თავისი ქვეყნისთვის ნამდვილი მებრძოლი ქალი, რომელიც მონობის მრავალი წლის განმავლობაში მხოლოდ თავისი შერცხვენილი ხალხის განთავისუფლებაზე, დახსნაზე ფიქრობს და ამ დღისათვის ემზადება. მას ნიღბის ქვეშ უხდება ცხოვრება. რთულ როლს ნუცა ჩხეიძე ჩვეულებრივი ოსტატობით ასრულებს. ყოველ დეტალში შესანიშნავად დამუშავებული სახე ჩვეულებრივი ძალით მიჰყავს მაყურებლამდე.

ნუცა ჩხეიძე მეორე მხრითაც იშვიათი მოვლენაა ჩვენს სცენაზე. მხედველობაში მაქვს მისი გმირული პათეტიურობა და განუმეორებელი ლირიზმი, მთლიანობაში მოცემული. ამით აიხსნება, რომ მის მიერ ხორცშესხმული სახე ყოველთვის დაჯილდოვებულია ნამდვილი ადამიანური თვისებებით. გმირი უბრალო სქემა როდია, იგი შემკულია ადამიანის ძლიერი და მდიდარი ხასიათით. ასეთია ნუცას ზეინაბი. მრავალი წლის გოდებას და მონობას მასში ვერ ამოუწვავს სიყვარული თავისი ქვეყნისა, პირიქით, უფრო გაუმძაფრებია იგი. მისი ზეინაბი ერთ-ერთი შესანიშნავი სახეა, არა გარედან მოტანილი, არამედ თვით არტისტის ბუნებაში მოცემული, განცდილი და შესისხლხორცებული, ამიტომ არის ასე მართალი, დამაჯერებელი, მიმზიდველი და გარკვეულ პატრიოტულ განწყობილებათა ჩამომყალიბებელი.

ნუცა ჩხეიძემ ერთხელ კიდევ გააბრწყინა სცენა თავისი დამატყვევებელი სიტყვით, შექმნილი სახით, რომელიც მას ტრაგიკულ სიმძაფრემდე აქვს აყვანილი. ცალკე, კონკრეტული სახით იგი ახერხებს წარმოგვიდგინოს ჩვენი წარსული, ეგზომ მდიდარი, ტრაგიკული და გმირული. ეს არის ოსტატის დიდი გამარჯვება და დამსახურება ჩვენი საზოგადოების წინაშე.

ჩემის აზრით, პიესის წამყვან, ზნეობრივი სახის მატარებელ ძალას ანანია წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში ამ ხაზით აქვს გამართული ა. ხორავას მთელი სპექტაკლი და სამართლიანადაც. ანანია — ქართველი გლეხობის შემკრები სახე — სპექტაკლის ცენტრალური ფიგურაა. ის იყო, რომ უკანასკნელი გაეცალა ბრძოლის ველს. მან გასწირა საკუთარი ჩვილი შვილი, იგი გაათელინა სოლეიმანის ცხენს იმ მიზნით, რომ შურისმაძიებელი მომავალი მეფე გადაერჩინა. ის იყო, რომ ამ მეფეს ზრდიდა თავის სახლში საკუთარ შვილთან ერთად, ის აღვივებდა სამშობლოს სიყვარულს გლეხობაში. რა სიმწარე გადაიტანა, რა წამება, მაგრამ ეს ცალთვალა ანანურელი გლეხი ბოლომდე უტეხი დარჩა. დეგენერატ მეფისწულის მიერ გაყიდულმა, მან ჩაფეთქა სოლეიმანის ძლიერების ზურგი— მეტეხი და იხსნა საქართველო. ისტორიული სინამდვილე ამ გლეხის სახითაა მოცემული პიესაში. იგია ხალხის სიწმინდე, სინიდისი, გმირობა, თავდადება და მატარებელი უდიდესი სიყვარულისა თავისი ქვეყნისადმი, ამავე დროს საოცრად დინჯი, გამოცდილი, ნამდვილი ბრძენი და შეუპოვარი. იგი დაჯილდოვებულია ყველა იმ თვისებით, რაც ჩვენს გლეხობას ახასიათებდა სამშობლოს დაცვაში. ამიტომ სპექტაკლის გამარჯვება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იქნება ანანია წარმოდგენილი მაყურებელთა წინაშე. საკმარისია სულ მცირე სიყალბე, მცდარი ჟესტი, უშნოდ წარმოთქმული რეპლიკა, რომ სპექტაკლს დაეკარგოს მიმზიდველობა, სიცხოველე, დამაჯერებლობა. **ალ. აფხაიძის** სახით ანანიამ მშვენიერი შემსრულებელი ჰპოვა. მან გამოიჩინა ზომიერებისა და სინამდვილის გრძნობა და ანანიას შესანიშნავი სახე მაყურებლამდე შეიძლება ითქვას, უნაკლოდ მიიტანა. მან მეტი სიღრმე მისცა ამ სახეს. ამ როლში აღნიშნული მსახიობი ჩვენ წარმოგვიდგა კარგი პოტენციური შესაძლებლობით. მას აღარ ემჩნევა ერთგვარი ძალდატანება ხმაზე, რასაც დისონანსი შეაქვს ხოლმე მის სხვაფრივ კარგად მოფიქრებულ თამაშში. ანანიას შექმნილი სახე მსახიობის უეჭველ გამარჯვებას წარმოადგენს.

განსაკუთრებული სიძნელეა წამოჭრილი **გ. დავითაშვილის** წინაშე. შეუძლებელია ძალაუნებურად წინ არ აგეფაროს ვალ. გუნიას მიერ ცოცხლად წარმოდგენილი ოთარბეგი. ეს უკანასკნელი მსახიობის საუკეთესო მიღწევას წარმოადგენდა. ახალგაზრდობის შთაბეჭდილება კი ყოველთვის გამტანი და მომაჯადოვებელია. ვ. გუნიას ამ როლში ქართული სიდინჯე და სიდარბაისლე შეჰქონდა. მისი სიტყვა მკაფიო და ნელი იყო, იმავე დროს შინაგანი დრამატიზმით სავსე. გ. დავითაშვილის ოთარბეგი უფრო ეგზალტიურია, რეფლექსური. იქნება ეს საერთოდ თეატრის შემოქმედებითი მეთოდის შედეგიც იყოს. ყოველ შემთხვევაში პირველ და მეორე მოქმედებაში მსახიობს არა ჰყოფნის სამკვეთრე სიტყვის თქმაში. სამაგიეროდ შესანიშნავია იგი მესამე მოქმედებაში, ტრაგიზმით ყველაზე უფრო მძაფრ ადგილში.

კარგად აქვს დამუშავებული ავტორს სოლეიმანი. მასში კონდენსირებულია აღმოსავლური დესპოტობის ყველა საშინელება: დაუზოგველობა, სისასტიკე, უნდობლობა, ვერაგობა და იმავე დროს მამაცობა. სცენიურად, შეიძლება ითქვას, იგი ერთი საუკეთესო როლთაგანია. სოლეიმანს ასრულებს **მ. ჩიხლაძე.** მას ყოველივე მოეპოვება იმისათვის, რომ როლის სირთულე დასძლიოს და შეჰქმნას სასტიკი დესპოტის მკვეთრი სახე. მიზანს კიდევაც აღწევს, მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ნაკლზე მინდა მივუთითო. სახეს ხანგამოშვებით უკარგავს დინამიზმს, ტემპს. ამის მიზეზი უნდა იყოს თქმის მეტისმეტად შენელება, ხმის მეტის-მეტად დაბალ რეგისტრებში გადაყვანა. არის ადგილები პირველ და მეოთხე მოქმედებაში, როცა მოქმედების განვითარებაში ერთგვარი მოდუნების საშიშროება იპარება, სცენას სიცივე და ერთგვარი სიმშრალე ეუფლება, მოსაწყენი ხდება. ეს დიდი საფრთხეა და აუცილებლად უნდა გამოსწორდეს, მით უმეტეს ისეთ მნიშვნელოვან სპექტაკლში, როგორიც „ღალატია".

შედარებით მკრთალია გაიანეს როლში **რ. ბერიძე** ეს უკანასკნელი კარგი არტისტია, გარკვეული ტიპაჟის შემქმნელი. მაგრამ მისი გაიანე ვერ ჩაითვლება წინსვლად იმ სახეებთან შედარებით, რომლებიც მას განუსახიერებია. გაიანე ბუნების შვილია, მისი სიწმინდე, მისი სიმტკიცე და ამიტომ იგი თავიდან ბოლომდე ბუნებრივი უნდა იყოს. ბერიძის გაიანეს თქმას კი, რაც მთავარია, სიცილს, მიხვრა-მოხვრას ძალდატანება, ხელოვნურობა ეტყობა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს როლი პიესაში ნაკლებად არის დამუშავებული და სქემატურია.

პიესის დრამატიული კვანძის ერთ-ერთი შემქმნელი რუქაიაა. ამ მხრივ იგი მთავარ პერსონაჟთა წყებას ეკუთვნის. როგორც ვთქვით, ამ როლს შესანიშნავი ოსტატობით ასრულებდა მარო მდივანი. როგორ ჰქონდა მას გაგებული ეს როლი? მისი რუქაია ჰარამხანის მსხვერპლი იყო, იგი მხოლოდ უფლების მოპოვებაზე ფიქრობდა, მას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — დაეჭირა ზეინაბის ადგილი სოლეიმანის სასახლეში. ერეკლე და მისი მოჩვენებითი სიყვარული მხოლოდ იარაღი იყო. იგი სოლეიმანის გარყვნილი სასახლის ნამდვილი ჯაშუში იყო. ასეთი გაგება როლისა სწორი და მისაღებია. ნ. ლაფაჩის როლი სხვა პლანით აქვს მოფიქრებული. „ხანის პირველი ცოლობა, დედოფლობა და ერეკლეს სიყვარული", აი რა ასულდგმულებს მას. ქართველების გამარჯვება და ერეკლეს მეფობა მისი ოცნებიდ დამსხვრევა იქნება", — სწერდა ლაფაჩი წარმოდგენის წინ და სწორედ ამ მიმართებით მიჰყავს როლი. მართლაც, იმ სცენებში, სადაც იგი ერეკლეს სიყვარულს ეფიცება, უკუგდებულია ცბიერების ყოველივე დეტალი. თუ მართლა უყვარს ერეკლე, მაშინ მის საქციელსაც სხვა შუქი ეფინება. სამშობლო მისთვის უშინაარსო სიტყვაა, ვინაიდან იგი რუქაიას არ გააჩნია. მაგრამ საქმე ის არის, რომ რუქაიას ნამდვილად არ უყვარს ერეკლე. ეს ნათელი ხდება თუნდაც უკანასკნელ მოქმედებაში. მაშასადამე, საჭიროა თამაშში ისეთი ნიუანსების შეტანა, რომლებიც რუქაიას ნამდვილ ბუნებას გამოააშკარავებენ. თუ დავეთანხმებით ლაფაჩს ამ როლის გაგებაში, უნდა შევნიშნოთ, რომ იგი მშვენიერია. იგი შემდეგი გამარჯვებაა არტისტის შემოქმედებაში. მაგრამ, ვიმეორებთ, როლი არ არის სწორად მოფიქრებული.

გაფართოვებულია ბესოს მოქმედების დიაპაზონი სპექტაკლში. იგი მღელვარე გლეხობის ერთ-ერთი ორგანიზატორია, იგი ერთგვარი ხიდის როლს ასრულებს ხალხსა და პიესის მომქმედ პირთა შორის. ამისდა შესატყვისად **ემ. აფხაიძეს** ამ როლის განსახიერებაში ერთგვარი სიახლე შეაქვს. მის იუმორს იგი ხალხურ ხასიათს აძლევს. ბესო სოფლის წარმომადგენელია ამ სოფლის სიმახვილით, ჭკუით და შეუნელებელი პატრიოტიზმით. იუმორთან ერთად იგი მძაფრად განიცდის დიდ სევდას, თავისი ქვეყნის მდგომარეობით გამოწვეულს. როლი ეპიზოდურია და გამოცდილი არტისტის ხელში იგი სპექტაკლში სიცოცხლის შემტანი ძალის სახეს ღებულობს.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა არტისტის **ვ. დოლიძის** გამარჯვება ერეკლეს როლში. გარეგნობა, სიტყვა, ყველაფერი ხელს უწყობს მას ერეკლეს სახის შექმნაში.

ნამდვილი ნიჭი ერთ სიტყვაშიც კი იძლევა თავის ანარეკლს. ბოლოს-და-ბოლოს მხოლოდ ერთი სიტყვა აქვს **ნ. ჯავახიშვილს,** რომელიც მაიკოს როლს ასრულებს, ეს არის „გაი-ანე", მაგრამ რა დიდ აზრსა და სითბოს სდებს იგი მასში!

დათომ **გ. საღარაძის** სახით კარგი შემსრულებელი ჰპოვა. გარეგნობით, შინაგანი პათოსით იგი ხალხის ნამდვილი გმირია, მიწიდან ამოზრდილი, მთელი თავისი არსებით თავის ქვეყანასთან დაკავშირებული, ანანიას ღირსეული შვილი, გულწრფელი სიყვარულსა და ბრძოლაში. იგი პიესის ზნეობრივი სახის მატარებელია ამასთანავე. ამიტომ ახდენს იგი დიდ ემოციურ ზეგავლენას მაყურებელზე.

განსაკუთრებული როლი აქვს მიკუთვნებული პიესაში ისახარს. ეს არის ქართველი გლეხი ქალი, რომლის ზურგზედაც გადადიოდა თავისი ქვეყნის სიდუხჭირე და ვაება. მაგრამ იგი იმედს არა ჰკარგავდა, ქედს არა იხრიდა უკეთესის მოლოდინში. იგი ცოცხალი შურისძიებაა სცენაზე. მართალია, ხმას მოლოდინობა დასტყობია, სიცოცხლე მოჰკლებია, მაგრამ გული ისევ მტკიცე აქვს. ამ როლს ერთგვარ მისტიურ ბურუსში ხვევდნენ წინათ. **ა. სანაძეს** იგი უფრო რეალისტურ ხაზებში აქვს გახსნილი და შედეგსაც კარგს აღწევს.

კარგები არიან დამხმარე როლებში **ვ. ბაბუნაშვილი** (ყარა-იუსუფ), **ფ. კუპრაძე** (ალრაზაკ), **დ. ხუციშვილი** (საბა) და **კ. ვადაჭკორია** (გიგა). მეტადრე უნდა გამოიყოს ხუციშვილი.

რ. გაბიჩვაძის მუსიკა კარგად ეხამება სპექტაკლს.

სპექტაკლი დიდის ინტერესით მოისმინა დამსწრე საზოგადოებამ და გულთბილადაც მიიღო იგი.

შალვა აფხაიძე

1941 წელი

ა. ხვედელიძე

ახალგაზრდა წითელარმიელი პოეტი.

რა დიდებული წელი მოვიდა,
სიდარბაისლით, ქებით, დიდებით,
თეთრი პეპლებით მთებში მოფრინდა —
ბარში ყინულის გულსაკიდებით.
ღიაა ყველა სახლის კარები,
მოდის ბარაქით ხელივსებული,
მოხუცებია თუ პატარები,
გულში ჩაუდგათ მზე ანთებული,
დალოცა გამრჯე კაცის მარჯვენა,
ყველა ხის კვირტის გაშლა ინება,
ბეღელში პურის ხვავის დარჩენა,
ველზე ჯეჯილის აბიბინება...
მოფრინდა როგორც მარტში მერცხალი
და სიხარული გადმოგვაყარა,
რამდენჯერ შესწყდა ცეცხლს ნაპერწკალი,
იმდენ წელიწადს ლხინი გვახარა.
რა ბედნიერი წელი მოვიდა,
სიდარბაისლით, ქებით, დიდებით,
თეთრი პეპლებით მთებში მოფრინდა,
ბარში ყინულის გულსაკიდებით.

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის მწერალთა ყრილობა

22 დეკემბერს პეტროზავოდსკში გაიხსნა კარელია-ფინეთის რესპუბლიკის საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა.

მწერლები და ინტელიგენციის ფართო წრეები გაძლიერებული ინტერესით ემზადებოდნენ ამ ყრილობისათვის. ლიტერატურულ საღამოებზე პოეტები და მწერლები მშრომელთ უკითხავდნენ თავიანთ ახალ ნაწარმოებებს. მწერლების ჩეხოვის, კუტასოვის, გუტარის და მთხრობელის რააბინინა-ანდრეევის შეხვედრა მშრომელებთან მოხდა ვიიპურში, სორტავალში და სეგეჟეში, აგრეთვე მრავალ სოფელსა და სატყეო პუნქტში.

პეტროზავოდსკში მოეწყო საღამოები, რომლებზედაც განიხილეს მწერლების ლინევსკის, ნორინის, კუტასოვის, ივანოვისა და ნიკონოვის შემოქმედება.

მწერალთა ყრილობისათვის რუსულ და ფინურ ენაზე გამოვიდა ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალის სპეციალური ნომერი.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ შორეული სოფლებიდან სახალხო მთქმელები. ლენინგრადიდან დაესწრენ საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები და ცნობილი სტახანოველები.

ყრილობის პრეზიდიუმშია — კარელია-ფინეთის კომპარტიის ცეკას მდივანი ამხ. კუპრიანოვი, ამხ. ტოივო ანტიკაინენი, კარელია-ფინეთის რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. პროკონენი, სახალხო მთქმელი ორდენოსანი კორგუევი, ფინელი პოეტი ეიკია და სხვ.

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში არჩეული იქნა საკ. კ. პ. (ბ) პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით, და აგრეთვე ამხ. **დიმიტროვი** და ამხ. **ტიმოშენკო.**

მოხსენებით კარელია - ფინეთის რესპუბლიკაში ლიტერატურული მოძრაობის ამოცანების შესახებ გამოვიდა ცეკას მდივანი ამხ. სიუკიაინენი. იგი ლაპარაკობს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების ხალხური შემოქმედების აყვავებაზე, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ამაღლებაზე, დაწვრილებით შეჩერდა ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების განვითარების საკითხებზე.

გალაქტიონ ტაბიძის თხზულებათა მესამე ტომი

სახელგამმა გამოსცა სახალხო პოეტის გალაქტიონ ტაბიძის თხზულებათა მესამე ტომი. წიგნში მოთავსებული ლექსების უმრავლესობა ახალია.

გალაკტიონ ტაბიძე
თხზულებანი
გალაკტიონ ტაბიძე
თხზულებანი
სახელგამი
1940

პირველ განყოფილებაში სათაურით „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი" მოთავსებულია ოცდაექვსი ლექსი, მათ შორის, „ჩემი სიმღერა", „პოეზიის ინტეგრალები", „დღევანდელი დღის თვალი და ფიქრი", „გორი", „ლენინისა და სტალინის გზით", „გამხიარულდი ბუხარო", „წყალტუბოდან ქუთაისში" და სხვ. მეორე განყოფილებაში „ძველი მოტივებიდან" მოთავსებულია: „ტბა ალპიურ ზონაზე", „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო" და სხვ. მესამე განყოფილება „მოგონებები ევროპაზე" მთლიანად ეხება ევროპას. აქ მოთავსებულია ასი ახალი ლექსი. მათ შორის „ჰანრი ბარბიუსი კონგრესზე", „წარწერა ანატოლ ფრანსის სურათზე", „ტირიფი ალფრედ დე მიუსეს საფლავზე", „პატარა პიერო", „ვოლტერის ძეგლთან", „გოტიეს რომანიდან", „მონ-პარნასი" და სხვ. მეოთხე განყოფილება შეიცავს ლექსებს „საუბარი ლირიკის შესახებ".

წიგნი გამოვიდა შალვა რადიანის რედაქციით.

წიგნი 360 გვერდს შეიცავს, ჩასმულია ლედერინის ყდაში და ღირს 12 მან.

კარავი ტყეში*

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

მამის სიკვდილის შემდეგ ბარნაბა საგანელიძემ ნადირობას თავი მიანება. მამისეული ფილთა ირმის რქაზე ჩამოჰკიდა სასტუმრო დარბაზში; შინდისფერი მეძებარი ჯიხაიშელ ლორთქიფანიძეს უშობელში გაუცვალა.

ოცდასამი წელიწადი გავიდა,— ნიგვზის დასარეკ ჭოკივით გრძელი ბარნაბა ერთხელაც არავის დაუნახავს გუბისწყლის ფშანებში

ოჯახის მეწესე რომ გახდა, ხელებში ცეცხლი მოეკიდა. საშოვარზე გასულ კაცივით დაჭიმაჩდა. ეზოდან ისე არ გადაიდოდა, შინ ფიჩხი მაინც არ შემოეტანა. ვინ იფიქრებდა, — მდიდარი კაცის შვილი, — ღვინოს, ქალებს და ნადირობას გადაყოლილი ბარნაბა ოჯახს გულს დაუდებდა, კერის ანგელოზს გამოაღვიძებდა.

კვიცი გვარზე ხტოდა. ისეთი ქახარშია გამოდგა, — დილაობით ქათმებს თავათ გასინჯავდა, კვერცხის დასადებად თუ მოიქცნო. „ბუდე ამას!" — გასძახებდა ჯალაბს და მოვსებულ ვარიას მაღლა ასწევდა.

სიკვდილს მონატრებდა მოახლეს, რომ ქათამს პირველი კვერცხი სადმე დაეკარგა.

სანადიროდ როგორ მოიცლიდა, როცა სადილობის დროსაც გული უკანკალებდა, ვაითუ უთვალყუროდ მიტოვებული სვანები ჩრდილში ნებივრობენო.

ამ გაუგვანებულ შიშში მიდიოდა მისი წუთისოფელი.

ჩაფი ღვინოც რომ დაელია, არ დათვრებოდა, თუ სადმე ეზოს გარეთ მოჯამაგირე ეგულებოდა. დგომელა გადაყლაპავდა ორ-სამ ლუკმას და ჭალაში გაჩნდებოდა.

მედღეური სვანი თოხზე დაყრდნობილი რომ დაენახა, მოკაუჭებული ცხვირის ნესტოები გაღიზიანებულ მხეცსავით დაებერებოდა, თვალებში სისხლი მოაწვებოდა და მისი გამჭვალავი გამოხედვა სახრესავით აიწევდა თავპირს წელის გასამართავად შესვენებულ ადამიანს.

მინდვრის მუშების მეთვალყურედ ცოლის შორეული ნათესავი დაიყენა, — ცალხელა მოხუცი. ორი კვირა რომ გავიდა, კაცისადმი უნდობლობით მოპირთავებულ ბარნაბას მოეჩვენა, რომ ცალხელა კალთას აფარებდა მედღეურებს. „მგელი მგლის ტყავს არ დახევსო", — ჩაიხლიჩინა და ნათესავს გუდა-ნაბადი აუკრა. ისე გაძუნწდა, — ერთხელ წინა-ეზოც მოხნა და სიმინდი დათესა.

ჭალა და ბაღი რომ ჩამოართვეს, ბარნაბა უკვე ხანმოყრილი მოხუცი იყო. გულის ფრიალი დასჩემდა. კაცის დანახვაც შეზარდა.

მუხის ფიცრებიდან კარგი, საწნახელივით მაგარი კუბო გაიკეთა და პალატში დადგა. თვითონაც პალატში გადასახლდა, მაგრამ დარდი რომ გაუნელდა, სიკვდილისათვის ვერ მოიცალა.

ბარნაბას არ უყვარდა ოჯახში უქმი და უხმარი ნივთი. ამიტომ კუბოს საკეტავი გაუკეთა, — შაქარი, ყველი, ბრინჯი, სახაჭაპურე ფქვილი, — ყველაფერი შიგნით ჩაკეტა, გულიც იმ კუბოსავით ჩაითხრო და ხანდახან დილიდან საღამომდე შინაურებს სიტყვას არ შეაწევდა.

თოფი არც ახსოვდა. მხოლოდ ერთხელ, ყრილობაზე გაშვების შემდეგ, ლულებში ადათვე ფინდიხი ჩაჰყარა, რომ ტარასი ხაზარაძესთან ანგარიში გაესწორებინა. თალიკო განზრახვას მიუხვდა. მამას მუხლებში ჩაუვარდა. საყვარელი ქალის ცრემლმა მოხუცი გონს მოიყვანა და თოფიც ისევ ირმის რქას დაუბრუნა. ორლულიანი ფილთა კედლის სამკაულად გადაიქცა. მშვიდად ეკიდა ძველებურ ნოხზე, მოვერცხლილ ყანწებს შორის, რომ შარშან მოულოდნელად ბარნაბას ნადირობის საღერღელი აეშალა.

ოქტომბერი ილეოდა. ქარიანი დილის ბინდბუნდში თალიკო ეზოს ჰგვიდა. ჩამოშლილი ნაწნავები მარცხენა ხელში მოეკრიფა, მიწაზე არ მომეთრიოსო. ორჯერ ჩამოუარა ეზოს, — ცოცხი მაინც არ დაეტყო იქაურობას: ჭადრებიდან შრიალ-ტრიალით ცვიოდა შემხმარი ფოთოლი. „სა იყო ამდენი! ერთად ჩამოთავდით ბარემ",— ბუზღუნებდა ილაჯგაწყვეტილი ქალი.

შუშაბანდის კიბეზე ბარნაბა გამოვიდა წინდისამარა.

— ნახე?

— ჯანდაბა ვნახე! — ასძახა პალატიდან გამოსულმა ელისაბედმა, ქალიშვილს დაფეთებული თვალი შეავლო და კარ-ფანჯრები ფართოდ გამოაღო, რომ პალატში მეტი სინათლე შესულიყო.

ბარნაბას ხამი შალის ბლუზაშარვალი ეცვა. შარვლის ტოტები მაღალ პაიჭებში ჩაეტანა და წელზე სამასრე შემოერტყა. ამ ტანსაცმელში მოხუცი უფრო მაღალი და გამხდარი სჩანდა.

ქვედა სართულში ზვინივით ახოვანი ელისაბედი დაგორავდა, კუთხე-კუნჭულებში ფათურობდა. ბინდიან პალატს მისი ელდანაცემი ჩურჩული ავსებდა: „ჩემი ცოდვა მოეკითხოს მამაჩემს ჩემის გაჩენისათვის".

თალიკო მიხვდა, დედა საყანე წაღებს ეძებდა, ორმაგ ლანჩზე შეკერილს. ცოცხი მიაგდო. პალატში შეირბინა. რომ დედას მიშველებოდა.

მოხუცი ბოლთას სცემდა შუშაბანდში. ასეთი წყნარი და მომთმენი იგი არასდროს არ უნახავს თალიკოს. სხვადროს წაღები რომ გაბნეოდა ან ელისაბედს პირსახოცის მირთმევა დაგვიანებოდა ყიამყრალი ბარნაბა, რასაც მისწვდებოდა, ყველაფერს ზურგში მიაყოლებდა დაზაფრულ დედაკაცს. ამ დილით ერთიც არ დაუღრენია. ფიქრიანი თვალები ოდნავ მოეჭუტა. თუთუნს აუჩქარებლად ახვევდა.

— საით, მამა?

— ჭალაში. ცოტას გულს გადავაყოლებ, — ალერსიანად გაეხმაურა მოხუცი.

თალიკოს მისი ალერსიანი კილო უფრო ეოცა, ვიდრე ასე ანაზდად აჩემებული ნადირობა.

წაღები სამზადში იპოვნეს. მოხუცმა ფეხთ ჩაიცვა და თოფი გამოიტანა. თოფი რაღაც მოუხერხებლად ეჭირა. თალიკოს იგი ზედმეტად ეჩვენა მამის ხელში.

ბოგირზე გავლისას მოხუცმა ხეშემ-ტყავიანი წაღები წყალში ამოავლო. მიდუქნეს მეძებარი სთხოვა და ჭალისაკენ გაუტია. ორღობეში დიდხანს მოსჩანდა მისი მოსხრეკილი მხარბეჭი.

○

თეთრი შავხალებიანი მეძებარი დრო და დრო ნაბულზე დგებოდა ნაჩალარში. ნაცნობი „ეცი"-ს მოლოდინში დაძაგრულ კუდს ოდნავ არხევდა. მარჯვენა ბეჭის კუნთებში თრთოლვა შეპარვოდა.

ბარნაბას თოფი ჯოხივით გაედო მხარზე. აჩქარებით მილასლასებდა მოშამბულ ბილიკზე.

უყურადღებოდ მიტოვებული მეძებარი მწარედ დაიწკმუტუნებდა, მწყერს ან ღალღას წამოაფრენდა; მერე აზირებულ მონადირეს მოუხედავდა, თითქოს საყვედურს უთვლიდა. ერთგან წინიდან შემოურბინა და მიაყეფა. „მოგიკვდა პატრონი!" — შეუტია კაცმა, წიხლი მიაზილა. ძაღლი მაშინვე დაწვა, თავით მიწას გაეკრა. მერე ნელა წამოდგა და მონადირეს უგულოდ აედევნა, — დღეს მისგან ნადირობას არ ითხოვდნენ.

მოხუცი არსად შეჩერებულა, ისე გალია ჭალა და ლეხეშურას ზურგმაგარა აღმართს შეუდგა. თანდათან ფიქრიანი ხდებოდა. მალიმალ ისვენებდა, მკერდზე ხელს იდებდა. ტყისპირთან შესდგა. ყოყმანი დაეტყო. ვერ გადაეწყვიტა, შესულიყო თუ არა. ამოიოხრა და მეძებარს საყელური შეაბა. ტყეში შევიდა.

○

მონადირეთა ღამისსათევ კარავში ისხდნენ. კარავს მხოლოდ სახურავი და ერთი კედელი შერჩენოდა, წნელისაგან მოღობილი. ოცდათოთხ წელს, როცა ისინი ტყეში პირველად შეხვდნენ, კარავი მთელი იყო, — მოულოდნელად თავს ვერავინ წაგადგებოდა. ახლა ბარნაბას ცალი თვალი ბილიკისკენ ეჭირა. ტყეში სადარობა იგრძნობოდა, რადგან ხნიერ ცაცხვებს ქვედა ტოტები უკვე ჩამომტვრეოდა.

დიმიტრი გელოვანი ტანმორჩილი, ცალპირად ნაქსოვი კაცი იყო. დოლივით უსისხლო პირისახე ჰქონდა, უჩინო გამოხედვა, თითქოს თვალღიად ეძინა.

ბარნაბას ეუცხოვა მისი ჩუმი, მოწყენილი ხმა, ზოზინა მიხვრა მოხვრა. „რაღა ეს რძენაწყენი გამოგზავნეს", — ფიქრობდა მოხუცი და უნდობლად უჭვრეტდა ნეშოზე ფეხმორთხმულ სტუმარს. ვერ გაეგო, რატომ ეჩვენებოდა იგი უცხო და უთვისო კაცად. იქნებ იმიტომ, რომ გელოვანის თვალებში არავითარი გამამხნევებელი სხივი არ კიაფობდა. სიტყვას იზოგებდა, — ზედმეტი არაფერი წამოსცდენოდა, სანამ გადავიწყებულ მეგობარს კარგად არ მოსინჯავდა.

ყინულიც მალე გატყდა, რადგან ტყეში განმარტოებული ორი კაცი მიკიბულ-მოკიბულად დიდხანს ვერ ისაუბრებდა.

— კარგად მოგიფიქრებია, — **უთხრა** გელოვანმა და თოფზე ანიშნა.

— მოფიქრებას რა ფასი აქვს, თუ საქმე არ დაბოლოვდება!— სიტყვა შეაჭრა მოხუცმა.

ბრაზი ერეოდა, რომ გელოვანი ასე დაღლილი და თავმობეზრებული კაცი სჩანდა.

— დაბოლოვდება, — ცალყბად მიუგო გელოვანმა.

არ ვჭირდები თუ სათქმელი დაგველია, რომ სიტყვას იმადლება!

არც ნათესაობა, არც კარგი კაცობა, არც სტუმარ-მასპინძლობა, — ბარნაბა საგანელიძეს მხოლოდ მიწა აკავშირებდა ადამიანებთან. მიწა ჩამოართვეს და იგიც გამოწყდა კაცების სათვალავში. ვერ გაიხარა, როგორც თესლი ვერ გაიხარებს, მიწის ზემოდ დარჩენილი. მიწის სიყვარული სასწორზე არ აიწონება, არშინით არ გაიზომება და არც კანონში ჩაეტევა, როგორც კვირტიდან გამოსული ნაყოფი ისევ კვირტში ვერ ჩაეტევა.

მიწა!

ვის შეეძლო საყვარელი ქალის სახელში ჩაექსოვა იმდენი სიყვარული, მოკრძალება, ერთგულება, რამდენსაც ბარნაბა საგანელიძე ამ სიტყვაში აქსოვდა.

მისი მძიმე, ხაოიანი ხელისგული მიწას ეფერებოდა, — როგორც დედაკაცს და მიწაც მისი გამგონე და მორჩილი იყო.

ოცდასამი წელიწადი გავიდა, — ქეიფში არ გაუთენებია, ძილში არ დაუღამებია, რადგან მიწას ვერ უღალატებდა.

ყოველღამ ჩემს ლოგინში ვწვებოდი და ლეიბი ისე ჩაითელა, — კუბოს დაემგვანა.

უმიწოდ ხარებს ნალი დაეჟანგა და ბარნაბას გულსაც ჟანგი მოეკიდა, მაგრამ...

— მაცალე, მოვიფიქრო... ასე უცებ ვერ გადავწყვეტ! ან რაში გამოგადგებით გამოყრუებული, სიკვდილისაგან მივიწყებული ბერიკაცი! — ენის კიდებით მიუგო ბარნაბამ.

— მოიფიქრე, არ გაჩქარებ! — დაეთანხმა გელოვანი.

○

ტყიდან ხელცარიელი დაბრუნდა. ბინდდებოდა.

თალიკო ჭიშკართან მიეგება. მოხუცმა თოფი გადასცა და მოქანცულად ჩაილაპარაკა:

— წაუხდენიათ ძაღლი. ყეფს, ხბოსავით კუნტრუშობს.

ტალავერში წამოწვა ქვის სკამზე.

ბარნაბა საგანელიძე ერთხელ განმტკიცებული წესისა და ჩვეულების კაცი იყო, სჭიროდა თუ არ სჭიროდა, წალდი მუდამ წელზე ჰქონდა.

გათენდებოდა თუ-არა, მაშინვე ქამარში გაირჭობდა. ამიტომ თალიკოს ეუცხოვა, რომ გუშინ, ნადირობიდან დაბრუნების შემდეგ, მოხუცი ეზოდან უწალდოდ გადავიდა.

— მამა! — მიაძახა და წელზე ანიშნა.

— დამავიწყდა! იყოს, არ მინდა, — შეაჩერა ბარნაბამ მორში ჩაჭრილ წალდისაკენ გაქცეული ქალიშვილი.

თალიკოს ჭკუაში არ დაუჯდა მისი ასეთი გულმავიწყობა. თვალყური დაიჭირა.

წვიმების დაწყებამდე ბარნაბამ სამჯერ გაუტია სანადიროდ,— თოფი ისე მიჰქონდა, როგორც სხვასთან გატანებული ნივთი. მონადირეს არ ჰგავდა არაფრით. ტყიდან ხელმოცარული ბრუნდებოდა. თალიკოს გული ვერ ეხმო, არ იცოდა, რა ეფიქრა; შებინდებისას ჭიშკარი რომ გაიჭრიალებდა, პალატიდან ჭრაქს გამოიტანდა და ისე მიანათებდა ეზოში ჩამოსულ მოხუცს, რომ სინათლე პირველად წელზე მოხვედროდა. არა, თასმაკავზე ერთი მწყერიც

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

---

*) რომანიდან „იმერეთი"

„ჯეჯილი"

(გამოცემის 50 წლისთავისათვის)

მიხ. ხელთუბნელი

1890 წელს, პირველ იანვრის წინა ღამეს, ანასტასია თუმანიშვილის ბინაზე შეიკრიბნენ მწერლები. მარტო ახალი წლის შესახვედრად როდი შეიკრიბნენ ისინი: მათი ყურადღება უმთავრესად შეეპყრო მათ მიერვე დაწყებულ დიდ კულტურულ საქმეს. ეს იყო, როგორც ერთმა დამსწრეთაგანმა განაცხადა, გამოსაშვებად უკვე მომზადებული ქართული საბავშვო ჟურნალის „ჯეჯილის" „ნათლობა". სტუმართა შორის იყვნენ იაკობ გოგებაშვილი, რომლის წინადადებითაც ახალ ჟურნალს „ჯეჯილი" ეწოდა, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ბაქრაძე, ანტონ ფურცელაძე და მრავალი სხვა.

ნიადაგი საბავშვო ჟურნალის წარმატებისათვის დიდი ხანია მომზადებული იყო: უკვე მოხდა გარდატეხა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში — იგი სწრაფის ნაბიჯით მიემართებოდა წინ. ამასთან დაკავშირებით, ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ფენაში დაიბადა საბავშვო წიგნის კითხვის მოთხოვნილება: ოჯახი საჭიროებდა ასეთ წიგნს და უნდა დაკმაყოფილებულიყო ეს მოთხოვნილება.

ნებართვისთვის საბავშვო ჟურნალის გამოსაცემად კავკასიის მთავარმართებელს მიმართა იაკობ გოგებაშვილმაც, ივანე როსტომაშვილმაც, ეკატერინე გაბაშვილმაც და ბევრმა სხვამაც, მაგრამ ყოველმა ცდამ უშედეგოდ ჩაიარა: მეფის მთავრობას სრულიადაც არ უნდოდა საბავშვო ლიტერატურის არსებობა ადგილობრივი ერების მშობლიურ ენებზე და ყოველ ფორმალურ საბაბს მიმართავდა შუამდგომლობის უარსაყოფად. მხოლოდ ანასტასია თუმანიშვილმა შესძლო ყოველი დაბრკოლების გადალახვა და შესძლო ეს განსაკუთრებული მეცადინეობის შემდეგ და გავლენიან პირთა დახმარებით. 1889 წლის 3 (15) ოქტომბერს შინაგან საქმეთა მინისტრმა პლევემ დაამტკიცა „ჯეჯილის" პროგრამა და ბეჭდვითი საქმის მთავარმა სამმართველომ ჟურნალის გამოცემის ნება დართო.

პირველმა მოაწერა ახალ ჟურნალს ხელი ოლღა ჭავჭავაძემ, ილია ჭავჭავაძის მეუღლემ. მისი მეცადინეობით ილიამ „ჯეჯილს" გადასცა რამდენიმე წლის წინათ დაწერილი, მაგრამ არსად არ დაბეჭდილი თავისი ლექსი „ბაზალეთის ტბა".

1890 წლის პირველ იანვარს, ესე იგი 50 წლის წინათ, გამოსულ „ჯეჯილის" პირველ ნომერს ამშვენებდნენ ქართული ლიტერატურის საუკეთესო სახელები: ილიას „ბაზალეთის ტბის" გარდა, იმავე ნომერში მოთავსებული იყო ვაჟა-ფშაველას სიმბოლიური ლექსი, სადაც აწერილი იყო გლეხის შრომის პროცესი და „ჯეჯილის" როლი ამ შრომაში, აგრეთვე მისი მოთხრობა „ჩვენი მამალი", სადაც იგი ალეგორიულად ლაპარაკობს შინაურ ფრინველებზე და ამ ფრინველების ბრძოლაზე იმათ წინააღმდეგ, ვინც „ჩვენს ეზოში პამპლაუშობს და ჩვენზედ გაბატონება მოსწადინებია", შიო მღვიმელის, რაფიელ ერისთავისა და ვახტანგ ორბელიანის ლექსები, აკაკი წერეთლის მოთხრობა „მერცხლისა და ჭივჭავის ომი", იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „სპილო და ჭიანჭველა", სადაც აწერილია სპილოს მიერ ჭიანჭველათა საცხოვრებლის დანგრევა.



უფროსი თაობის მწერალთა ნაწარმოებების გვერდით მოთავსებული იყო ახალგაზრდა ჟურნალისტებისა და ბელეტრისტების ნაწარმოებნი—იაკობ მანსვეტაშვილისა (ბარელი), ალექსი და ეფროსინე ჭიჭინაძეებისა და სხვ.

პირველ ხანს „ჯეჯილი" გამოდიოდა ორ თვეში ერთხელ, ხოლო 1896 წლიდან — ყოველთვიურად. პირველ ხუთ წელს ჟურნალი იბეჭდებოდა 400 ცალად, შემდგომ წლებში — 600 ცალად. ერთხანად —1904 წლის 3(15) თებერვალს — ჟურნალის გამოცემა შესწყდა: „მავნე მიმართულებისათვის" დაკეტის ჟურნალი „კვალი" და რაკი ფორმალურად „ჯეჯილი" „კვალის" დამატებად ითვლებოდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ისარგებლა ამ გარემოებით და „კვალს" „ჯეჯილიც" მიაყოლა. რათა მკითხველებს გული არ ასცრუებოდათ ჟურნალზე, ანასტასია თუმანიშვილმა და მისმა თანამშრომლებმა მოახერხეს სხვა პირის სახელზე ნებართვის მიღება კრებულების გამოსაცემად. ასე გაჩნდა კრებულები: „მერცხალი" — ორი წიგნი და „მოლაღური" — ორი წიგნი (ალ. მიქაბერიძის რედაქტორობით). აღძრულ იქნა აგრეთვე შუამდგომლობა „ჯეჯილის" განახლების შესახებ, და იმავე წლის 23 სექტემბერს (5 ოქტ.) მიღებულ იქნა ნებართვა.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ხანი „ჯეჯილი" გამოდიოდა, არ დარჩენილა, მგონი, არც ერთი ქართველი მწერალი, რომელსაც თავისი წვლილი არ მიეძღვნას „ჯეჯილისათვის", ხოლო ვაჟა-ფშაველა და აკაკი წერეთელი ჟურნალის მუდმივი თანამშრომლები იყვნენ. აკაკი სწერდა: „არც ერთი ყოველთვიური ან დროგამოშვებითი გამოცემა არ ყოფილა ჩვენში ისე სათანაგრძნობო ჩემთვის, როგორც ეს პატარა ჟურნალი"[1].

„ჯეჯილის" ზოგიერთმა თანამშრომელმა შემდეგში სპეციალობად საბავშვო ლიტერატურა გაიხადა. სხვებმა, დაიწყეს რა საბავშვო ლექსებით, გადავიდნენ „მოზრდილთა" ლექსებზე. ანასტასია თუმანიშვილის დაჟინებული თხოვნით, ი. გრიშაშვილმაც-კი, უმთავრესად სასიყვარულო ლირიკის პოეტმა, იწყო „ჯეჯილში" ლექსების მოთავსება ბავშვებისათვის, ხოლო გ. ლეონიძე ათი წლის ბავშვი იყო, როდესაც პირველად გამოვიდა „ჯეჯილში".

რედაქციას თავისი „ჯეჯილი" მოზარდი თაობის სიმბოლოდ მიაჩნდა, ამიტომ აირჩია მან ჟურნალის ეპიგრაფად ხალხოსანი პოეტის იოსებ დავითაშვილის ლექსის შემდეგი სიტყვები:

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო".

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი (1891 წელს ანასტასია მეუღლე გახდა ცნობილი პუბლიცისტის, ბელეტრისტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლისა) მარტო დამაარსებელი როდი იყო „ჯეჯილისა" — იგი მისი უცვლელი ხელმძღვანელიც იყო. ჟურნალი მისი საყვარელი შვილობილი იყო, რომლისთვისაც იგი არ იშურებდა არც თავის პირად სახსრებს (მისი სახსრები-კი ძალზე მცირე იყო), არც თავის შრომას, რაც უნდა ჩაბმული ყოფილიყო სხვა საქმეებში.

სარედაქციო და საგამომცემლო მუშაობის გარდა, ანასტასია „ჯეჯილში" ათავსებდა თავის ორიგინალურ ნაწარმოებებს და უამრავ თარგმანს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ „ჯეჯილი" გადავიდა განსახკომის ხელში, ხოლო ანასტასია თუმანიშვილი დანიშნულ იქნა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრად. იგი ამ სამუშაოს ჩამოშორდა ავადმყოფობის გამო, 1923 წელს.

უდაოდ დიდი იყო „ჯეჯილის" მნიშვნელობა ქართველი ახალგაზრდობის განვითარებაში წარსული საუკუნის დამლევს და მიმდინარე საუკუნის დამდეგს. ამ საბავშვო ჟურნალმა უდიდესი როლი შეასრულა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში. მან შექმნა მწერალთა კადრები ამ ლიტერატურისათვის და ქართული წიგნი მოზარდი თაობის მოთხოვნილებად გადაიქცა.

---

[1] იხილე „ჯეჯილი" 1899 წ. № 12.

ახალი წიგნები

„დიდი მოურავი"

სახელგამმა გამოსცა ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანი „დიდი მოურავი გიორგი სააკაძე". ეს რომანი პირველად ქვეყნდება.

რომანი შესდგება სამი ნაწილისაგან: „ქოფრი ლანდები", „ბჭესთან დიდებისა" და „გადატყდა ხმალი".

წიგნს დართული აქვს თედო სახოკიას მიერ შედგენილი ძნელად გასაგები სიტყვების ლექსიკონი.

წიგნი დასურათებულია პროფ. ი. შარლემანის მიერ. გარეკანი, ტიტული და შმუცტიტულები შესრულებულია მხატვარ ლ. გრიგოლიას მიერ. წიგნი კარგად არის გამოცემული, შეიცავს 448 გვერდს და ღირს 15 მან. და 50 კაპ.

წიგნი გამოცემულია ა. გვასალიას რედაქციით.

„მზე და სამშობლო"

„ფედერაციამ" გამოსცა ალექსანდრე აბაშელის ლექსების მეოთხე წიგნი—„მზე და სამშობლო". წიგნში მოთავსებულია ორმოცდაათი ლექსი, რომლებიც დაწერილია 1934 წლიდან 1939 წლამდე.

წიგნი შეიცავს 132 გვერდს და ღირს 7 მან. და 70 კაპ.

სერგო კლდიაშვილის „რჩეული პროზა"

საქართველოს საბჭოთა მწერლების გამომცემლობა „ფედერაციამ" გამოსცა სერგო კლდიაშვილის „რჩეული პროზა". წიგნში მოთავსებულია ნოველები: „მტრები", „პარტიზანები", „ლაშხეთის ბატონი", „უშგული", „ძველ კოშკში", „მურზაყან", „წარმართი", „ხალდე", „დირბელი მოყმის ამბავი", „თქვენი გამარჯვებისა, ძმებო!", „ზეიმი", „აბესალომ ნახუცარა", „სარდიონ შოშიას ვნებანი", „ციცინო გურიელი", „მოგონებანი დავითზე".

წიგნში ცალკეა გამოყოფილი „პროვინციის მთვარეს" სახელწოდებით შემდეგი ნაწარმოებები: „ქალაქი ხევში", „ჭინკა", „პროვინციის მთვარე" და „ფერფლი".

წიგნი 360 გვერდს შეიცავს და ღირს 13 მან. და 50 კაპ.

„კუხლია"

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობამ სასკოლო ბიბლიოთეკის სერიის სახით გამოსცა იური ტინიანოვის ისტორიული რომანი „კუხლია".

რომანი თარგმნილია ქეთევან ირემაძის მიერ. წიგნს წამძღვარებული აქვს ა. ნიფონტოვის წერილი „დეკაბრისტები და ვ. კ. კუხელბეკერი".

წიგნი შეიცავს 408 გვერდს და ღირს 12 მან.

დ. თომაშვილის ლექსები

„ფედერაციამ" გამოსცა დ. თომაშვილის (ოყრეშიძის) ლექსთა კრებული.

დ. თომაშვილი აკაკი წერეთლის სკოლის მწერალია. იგი 1896 წელს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ამის შემდეგ თომაშვილი სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში („ნაკადული", „ცნობის ფურცელი", „ივერია", „ახალი დროება", „სახალხო გაზეთი", „ისარი", „ამირანი", „კოლხიდა", „იმერეთი", „საქართველო", „განათლება" და სხვ.) სისტემატურად ბეჭდავდა თავის ნაწერებს (როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ და გადმოკეთებულ ლექსებს).

გამომცემლობა „ფედერაციამ" პირველმა შეაკრებინა და ცალკე წიგნად გამოსცა თომაშვილის „რჩეული ლექსები".

წიგნში, გარდა პერიოდულ პრესაში მოთავსებული ნაწერებისა, შეტანილია რამდენიმე ახალი, გამოუქვეყნებელი ლექსი.

ლექსები დალაგებულია ქრონოლოგიის მიხედვით. წიგნს დართული აქვს შენიშვნები, რომლებშიაც მოცემულია ბიბლიოგრაფიული და ისტორიულ - ლიტერატურული ხასიათის ცნობები.

წიგნი გამოცემულია მიხეილ ალავიძის რედაქციით. შეიცავს 188 გვერდს და ღირს 11 მანეთად.

შალვა დადიანის „პუშკინი საქართველოში"

„ზარია ვოსტოკას" გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა შალვა დადიანის პიესა—„პუშკინი საქართველოში". თარგმანი შესრულებულია დ. შერმანის მიერ.

წიგნი გამოცემულია ლამაზად, შეიცავს 178 გვერდს და ღირს 4 მან. და 30 კაპ.

„აფრებიანი ხომალდები"

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა კლიმენტი გოგიავას მოთხრობებისა და ნარკვევების წიგნი „აფრებიანი ხომალდები".

წიგნში მოთავსებულია მოთხრობები: „კაპარჭინის მებადურნი", „აფრებიანი ხომალდები" და „სიყვარული სიხარულია", ნარკვევები: „ქორწილი კოშკში", „გორი" და „ახალი წელი".

წიგნი შეიცავს 106 გვერდს და ღირს 4 მან.

ი. გედევანიშვილის ხსოვნას

ჩვენს რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი მწერალი იოსებ გედევანიშვილი. მისი დრამები ახლაც იპყრობს მაყურებლისა და მკითხველის ყურადღებას. შავბნელი რეაქციის დროს მან დასწერა ორი დიდად საყურადღებო პიესა — „მსხვერპლი" და „სინათლე" ორ ნაწილად. „მსხვერპლში" ასახულია გლეხების ბრძოლა თვითმპყრობელურ-მემამულური რეჟიმის წინააღმდეგ. დიდი ოსტატობით არის გამოხატული ამ პიესაში გლეხობის ცხოვრება.

ასევე შესანიშნავია მისი ორნაწილიანი პიესა „სინათლე", აქ ზღაპრის საშუალებით ავტორი აღვიძებს მაყურებელში პატრიოტულ გრძნობებს და მოუწოდებს მასებს მტარვალების წინააღმდეგ საბრძოლველად.

იოსებ გედევანიშვილს აქვს აგრეთვე სხვა პიესები და მოთხრობები („გამცემი", „სიმართლე" და სხვა), რომლებიც ეხებიან 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლებს.

იოსებ გედევანიშვილი იყო რეალისტი მწერალი. მისი ენობრივი მასალა ძალიან სადა, ხალხური საგანძურიდან ამოღებული, ფართო მასისთვის გასაგები და მისაწვდომია.

საყურადღებოა აგრეთვე მისი საზოგადოებრივი მუშაობა, იგი დიდხანს იყო ქართული თეატრის ხელმძღვანელი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პირველ ხანებში იყო ერთერთი ხელმძღვანელი მწერალთა ორგანიზაციისა, საოპერო თეატრის დირექტორი და სხვ.

ქართული თეატრისა და ლიტერატურის ისტორია მადლობით მოიხსენიებს იოსებ გედევანიშვილის სახელს.

ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ილო მოსაშვილი, სანდრო ეული, შალვა რადიანი, გიორგი ლეონიძე, დ. სულიაშვილი, შ. აფხაიძე.

აკაკი ბელიაშვილის ნოველები

„ზარია ვოსტოკას" გამომცემლობამ გამოსცა აკაკი ბელიაშვილის ნოველების წიგნი. წიგნში მოთავსებულია ცხრამეტი ნოველა: „აშბავი რუსთაველისა", „წიგნი", „შებვედრა", „სიხარული", „ციალა", „იუსტინეს ხაფანგი", „მეზობლები", „ანაფორა", „ზღაპარი სინამდვილისა", „სამშობლო ხევსურისა", „პირველი პაემანი", „ბეჭედი" და სხვ.

ნოველები თარგმნილია ბ. სერებრიაკოვისა და ვ. ელსნერის მიერ.

წიგნი შეიცავს 260 გვერდს და ღირს 3 მან. და 25 კაპ.

სალიტერატურო და სახელოვნო ჟურნალების ახალი ნომრები

„მნათობი" № 9

გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ჟურნალი „მნათობის" № 9.

ჟურნალში მოთავსებულია: მეთაური „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე"; მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში: შ. დადიანის „ავტობიოგრაფია", კ. ჭიჭინაძის „ბარაკონი" (ლექსი), „მერცხლები" (ლექსი), კ. გამსახურდიას „ბელადი" (რომანი), ა. შენგელიას „სიმღერა უსახელო გმირზე" (ლექსი), რიჩარდ ოლდინგტონის „სადგური" (ლექსი, თარგმნილი ინგლისურიდან გ. გაჩეჩილაძის მიერ), ი. ლისაშვილის „ძახილი მთაში" (რომანი).

კრიტიკის განყოფილებაში: ა. სულავას „ქართული საბავშვო ლიტერატურა"; ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის განყოფილებაში დაბეჭდილია პავლე ინგოროყვას „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა".

გარდა ამისა, ჟურნალში მოთავსებულია დოც. კ. მეძველიას წერილი „1861 წ. რევოლუციური მოძრაობა პეტერბურგის უნივერსიტეტში და ქართველი სტუდენტები", ნ. გვარაძის „ნაწყვეტი მოგონებიდან" და ბ. მ-ს ბიბლიოგრაფიული წერილი „ილო მოსაშვილი. ლექსები".

„ჩვენი თაობა" № 10

გამოვიდა ჟურნალ „ჩვენი თაობის" № 10. ჟურნალში მოთავსებულია — მხატვრულ განყოფილებაში: გ. ჯაბუშანურის „საზღვარზე", შ. ამისულაშვილის „ბაკურციხე", კ. გამსახურდიას „სიკვდილს ულიმისო" (ორი თავი ტრილოგიიდან „ბელადი"), კ. ბობოხიძის „განახლებული ოსიაური", ი. მჭედლიშვილის „პირველი ყეენობა", ი. ხოშტარიას „ისევ შენთან ვარ", ლ. ბალიაურის „შური".

კრიტიკის განყოფილებაში—აკაკი გაწერელიას „დოსტოევსკი" და გ. ჟღენტის „ვახტანგ ორბელიანის წერილები რძალთან".

„საბჭოთა ხელოვნება" № 10

გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" № 10. ჟურნალში მოთავსებულია: მოწინავე—„თეატრი და დრამატურგია", პროფ. დანელიას „მ. ლერმონტოვის „დემონი" და ა. დე-ვინის „ელოა", ვალ. გაფრინდაშვილის „ლერმონტოვი", ევგ. ლუნდბერგის „კოტე მარჯანიშვილი", აკაკი გაწერელიას „სულხან-საბა-ორბელიანი", პ. ხუჭუას „ფრედერიკ შოპენი", შ. ალხაზიშვილის „ელეონორა დუზე", ჰეგელის „ლექციები ესთეტიკის შესახებ" (გაგრძელება), შ. ა-ლის „ერმიტაჟის მოძრავი გამოფენა", დოც. ივ. ბეგლაროვის „რაფფი და ქართული საზოგადოება", იუზა ზარდალიშვილის „ტიფლისი მოგზაურობა", ი. ენიკოლოფოვის „ა. ს. გრიბოედოვის უცნობი პორტრეტი". გარდა ამ წერილებისა, ჟურნალში მოთავსებულია საინფორმაციო მასალა და რეცენზიები რაიონული თეატრების დადგმების გარშემო.

ჟურნალი უხვად არის დასურათებული.

პასუხისმგებელი რედაქტორი შალვა რადიანი

გიორგი წერეთელი

(დასასრული)

„მგზავრის წიგნისა" ახალ აღტაცებას, ახალ უმაღლეს ლოდინს და იმედებს ჰბადებდა"...[3]

„მგზავრის წიგნში, ანუ კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკაში" გ. წერეთელი შეეხო თავისი დროის მნიშვნელოვან და მწვავე სოციალურ პრობლემებს, მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაგვიხატა ქართველი საზოგადოების, მისი სხვადასხვა ფენის ცხოვრებისა და მდგომარეობის სურათები.

„კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა"-ში აღწერილია მოგზაურობა ქუთაისიდან სვანეთში და ავტორი იძლევა რეალისტური სისადავით მრავალნაირი ტიპების გალერეას, იმერელი აზნაურების ყოფითი სახეს, ყმა-გლეხობის მდგომარეობას, მებატონეთა სისასტიკეს ყმების მიმართ, ინტელიგენციის ტიპებს. ამ ნაწარმოებში ის მომენტია ნაჩვენები, როდესაც სამეგრელო-სვანეთში ბატონყმობის გადავარდნის მოლოდინში იყო ხალხი. მოგზაურობის დროს ავტორს თან ახლავს კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა. ესენი მაშინდელი ყოფის თავისებური სახეებია. ამ მოგზაურობის ფონზე გვიჩვენებს უმთავრესად მწერალი ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენებს და შემდეგ ახალი ცხოვრების პირობებში თბილისის ყოფის სახეებს.

სწორედ ამ ნაწარმოებში გამომჟღავნა გ. წერეთელმა მძაფრი იუმორი, სინამდვილის ღრმა ცოდნა და დიდი ლიტერატურული ერუდიცია. ცხოვრების მოვლენათა „შეუფერავი" ჩვენების მხრით „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკაში" მოისმის სალტიკოვ-შჩედრინისებური სატირის სიმძაფრე და სიღრმე. მწერალში ისე მკვეთრად არის განვითარებული დაკვირვებითი ნიჭი, რომ მას შეუმჩნეველი არ რჩება არც ერთი დამახასიათებელი მოვლენა საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

„კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა" საინტერესოა როგორც უაღრესად რეალისტური ნაწარმოები, სადაც ყმისა და ბატონის ურთიერთობა ასახულია სრული ბუნებრივობით, ყოველგვარი შეფერადების გარეშე. მგზავრთა ერთი ნაწილის შთაბეჭდილებანი ავტორმა გამოიყენა როგორც კრიტიკა ბატონყმური წყობილებისა. ნაწარმოების პირველი ნაწილი უაღრესი სიმძაფრით გვიხატავს ბატონყმური სინამდვილის საშინელ სურათებს. გლეხები, რომლებიც ეპიზოდური სახით ჩნდებიან ნაწარმოებში, ნათლად გამოხატავენ შეურიგებლობას ბატონყმური სინამდვილისადმი. როცა ჩიკოლიკი ლაპარაკობს გლეხების განთავისუფლებაზე ბატონყმობის უღლიდან და ამას გაიგონებენ გლეხები, ერთ-ერთი მათგანი აღტაცებით წამოიძახებს: „ნეტაი ღმერთი იმ ჩემს ბატონს მომაშორებდეს, თვარა კაცი რავა მემჯობინება ქვეყანაზეო"...

ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ გ. წერეთელი თანმიმდევარი მებრძოლია. მისი ყოველი ნაწარმოები ამ საშინელი სოციალური ურთიერთობის უარყოფის მძლავრი მისწრაფებითაა გაჟღენთილი.

კაპიტალისტური ურთიერთობის თანდათანი განვითარება გ. წერეთელმა შესანიშნავად დაგვიხატა „გულქან"-ში. ეს რომანი გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებშია დაწერილი და როგორც მოფიქრებით, ისე შესრულებით დიდი მნიშვნელობის ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს. მკითხველს ანცვიფრებს რომანის შინაარსის მრავალფეროვანება და მომქმედ პირთა სიმრავლე.

„გულქანი" გაშლილია ბატონყმური საქართველოს ფონზე, გრძელდება მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე და მოსულია ოთხმოცდაათიან წლებამდის.

„გულქანის" ფურცლებზე ორი ეპოქა, ორი საზოგადოებრივი ფორმაცია იშლება: ფეოდალური და ბურჟუაზიული. პირველის მეთაური რევაზ ბაკურიძეა, მეორესი —პეტრიელა გაწერელია და რუსი მრეწველი ნიკოლაი ნიკიფოროვიჩი.

„გულქანში" გარკვევითაა ნაჩვენები ფეოდალური ურთიერთობის დანგრევის ისტორიული აუცილებლობა. ამავე დროს მწერალი ამ მიმავალი საზოგადოებრივი ურთიერთობის გასწვრივ ხედავს ახალ ძალას, რომელიც თანდათან მძლავრდება, ეუფლება სოციალური ყოფის სიმაღლეებს — იმავე ისტორიული აუცილებლობით, რომლითაც ისტორიიდან მიდიოდა ძველი (ფეოდალური ცხოვრება). ავტორი ამ დაპირისპირების საფუძველზე გადაჭრით დგას ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის მხარეზე, და თითქმის ყოველ შესაფერ სტრიქონში ცდილობს ფეოდალური ინსტიტუტის უვარგისობის გამომჟღავნებას, გლეხების აუტანელი მდგომარეობის ჩვენებასთან დაკავშირებით.

„გულქანის" პირველ ნაწილში გ. წერეთელი რეალისტის კალმით და ეპიურის სიდინჯით აგვიწერს თავად რევაზ ბაკურიძის პიროვნებას და მის კარმიდამოს.

რევაზ ბაკურიძე თავისი ყმების ხარჯზე ცხოვრობდა. იგი მთელის სისასტიკით ეპყრობოდა ყმა-გლეხობას.

ბაკურიძე სამარადისო მფლობელად გრძნობდა თავს, მაგრამ მისთვის სრულიად მოულოდნელად მთელი მისი ქონების ბატონ-პატრონი მისივე ნაყმევი პეტრიელა გაწერელია გახდა. პეტრიელამ არ მოინდომა ძველებურად ბატონის სამსახური — ხაბაზობა, და განრისხებულ ბაკურიძეს შავი ზღვის ნაპირებისაკენ გაექცა. თავადმა სამაგიეროდ ერთიანად მოსპო მისი ოჯახი.

კაპიტალიზმის განვითარება პეტრიელას უწყობდა ხელს, და ბაკურიძემაც მის ბრჭყალებში ამოჰყო თავი. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ქალაქში გადასახლებული ბაკურიძე დავალიანდა და... მისი ბაკურიანიც ერთი ვაჭრის ხელში აღმოჩნდა. ეს ვაჭარი პეტრიელა იყო. ავტორს მშვენივრად აქვს დახატული მთელი ეს ეპოქა და ფულის მეურნეობის განმტკიცება.

პეტრე გაწერელია, იგივე პეტრიელა კვესაძე—„გულქანის" ერთ-ერთი მთავარი მომქმედი პირია. ბატონყმობის მძიმე უღელი გლეხს პეტრიელა კვესაძეს ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის გზაზე აყენებს. იგი შურს იძიებს თავის მებატონე რევაზ ბაკურიძეზე, რომელმაც გააუბედურა, მოსპო მისი ოჯახი, მაგრამ არა იარაღით ხელში, არამედ კაპიტალისტური მტაცებლური კომერციის საფუძველზე. მას ძველ სამოსახლოდან ერეკება და თვითონ ისაკუთრებს.

„გულქანში" გ. წერეთელი დიდ ადგილს უთმობს ქართველი ინტელიგენციის ცხოვრებისა და შეხედულებების დახასიათებას. სამოციანი, სამოცდაათიანი და ოთხმოციანი წლების ინტელიგენციის მოღვაწეობის ასახვას რომანში ავტორი „თერგდალეულებით" იწყებს, უმთავრეს ადგილს კი 70-იან წლებში ი. ჭავჭავაძის ჯგუფიდან გამოჯნულ „ახალი ახალგაზრდობის" წრის ურთიერთობას უთმობს.

„გულქანის" ღირსება და სიძლიერე მისი ფართო ფონიცაა. ავტორი მოხერხებულად აღნიშნავს სხვადასხვა კლასისა და წრის ცხოვრებაში მთავარ მომენტებს.

ასევე მეტად მნიშვნელოვანი, უაღრესად დიდი პრობლემები აქვს დასმული გ. წერეთელს—„პირველ ნაბიჯში". ეს ნაწარმოები ერთ-ერთი საუკეთესო სოციალური რომანია ქართულ ლიტერატურაში.

„პირველ ნაბიჯში" ასახულია სოციალური დიფერენციაციის ისტორიული პროცესი, რომელმაც მძაფრი ხასიათი მიიღო საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან. რომანში ნაჩვენებია კაპიტალიზმის განვითარება, სავაჭრო ბურჟუაზიის გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე, მისი გაძლიერება და განმტკიცება და შემდეგ კონფლიქტი ძველი ცხოვრების წარმომადგენლებთან. მართალია, ამ კონფლიქტს ნაწარმოებში ოჯახურ-ყოფითი შეჯახება ამოძრავებს, მაგრამ სოციალური კოლიზია მაინც მამოძრავებელ შინაარსად რჩება რომანში. ამ ნაწარმოებში სავაჭრო კაპიტალიზმის პირველი ნაბიჯები საქართველოში დახასიათებულია თავისი არსებითი ნიშნებით.

„პირველი ნაბიჯი" საინტერესოა არა მარტო ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის ჩვენებით, არამედ როგორც ნაწარმოები, რომელშიაც მომქმედი პირები მოცემულნი არიან დიდი ფსიქოლოგიური დაძაბულობით, მოძრაობით და სიუჟეტის ოსტატურად განვითარებით.

„პირველი ნაბიჯის" მთავარი მომქმედი გმირები—ბახვა ფულავა და იერემია წარბა მოწინააღმდეგე სოციალური ფენების წარმომადგენლები არიან როგორც წარმოშობით, ისე მდგომარეობით, ხასიათით და მისწრაფებებით.

ბახვა ფულავა გაჭირვებაში, სიღარიბეში იზრდებოდა. იგი თეკლათის ტყეებში დატანტალობდა ძონძებში გახვეული, მწყემსავდა თხებს. პატარა ბახვა მიდის იქ, სადაც სდგას მატარებელი და მუშები ქვებს ეზიდებიან ვაგონებში. გაოცებული ბახვა ყველაფერს დიდი ინტერესით ათვალიერებს. ერთ-ერთი მუშის წინადადებით თვითონაც იწყებს ქვების ზიდვას. მალე ბახვა ეცნობა ინჟინერს, რომელსაც მოეწონება მისი ცოცხალი სახე. ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ბახვა ფულავა სტოვებს თავის სოფელს, მშობლებს და მიდის ინჟინერთან სამუშაოდ ფოთში.

ინჟინერის ოჯახში ბახვა ფულავა სწავლობს წერა-კითხვას, თანდათან ეთვისება ქალაქურ ცხოვრებასა და წესებს. როდესაც ირგვლივ ხედავს, რომ სხვები ერთობ იოლად მდიდრდებიან, მასში ძალუმად იღვიძებს ფულის შოვნისადმი მისწრაფება და მოკლე დროში იგი საკმაო სიმდიდრეს იძენს. ბახვა ფულავა შეუჩერებლივ ადიდებს თავის ქონებას, ყიდულობს გაღატაკებულ თავადაზნაურთაგან ადგილმამულებს და ამნაირად ნელნელა ეუფლება საზოგადოებრივ გავლენას. ეკონომიურად იგი უძლეველად გრძნობს თავს.

ბახვა ფულავა უკვე კმაყოფილი იყო ცხოვრებისა. მაგრამ სწორედ ამ დროს თავს დაატყდა დიდი უბედურება. მას წინ გადაეღობა ძველი საზოგადოებრივი ყოფის წარმომადგენელი და მთელი მისი ცხოვრება შეატრიალა. ესმა მოეწონა იერემია წარბას. ღამით იერემია წარბა თავისი ძმაბიჭებით თავს დაესხა ბახვა ფულავას ოჯახს, გაიტაცა ესმა, მაგრამ რაკი ვერ დაიმორჩილა, მოჰკლა ის.

იერემია წარბა მომაკვდავი ფეოდალური არისტოკრატიის ნაშიერია. იგი ვერავითარ ღირებულებას ვერ ჰქმნის, თავიდანვე უკუღმართ გზას დაადგა. ცხრა წლისა იყო, როცა მამამ ჩაიყვანა ქუთაისში და მიაბარა სასწავლებელში. მაგრამ სწავლის ნაცვლად იგი იწყებს დროსტარებას, და მთელი დღეები თავის თანამოზიარეებთან ერთად დუქნებში დახეტიალობდა. მალე სასწავლებლიდან სხვებთან ერთად ისიც დაითხოვეს. „ახლად გამორიცხული ყმაწვილები მოირთენ ჩერქეზულად და ჩასხდენ იარაღში". ამ დროიდან იწყება იერემიასა და მისი ამხანაგების თავაშვებული მოქმედება. მათ ხელობად გაიხადეს მუქარა, მოტყუება, გატაცება.

იერემია წარბა საზოგადოებისათვის ხორცმეტად, პარაზიტად გადაიქცა. მისთვის ცხოვრება მხოლოდ ვიწრო პირადული სიამოვნების ასპარეზად იყო გადაქცეული, იგი მხოლოდ ცხოველურ-ბიოლოგიური სურვილებით ხელმძღვანელობდა. იერემია წარბა ველური ინტერესებით გამსჭვალული, ანტისაზოგადოებრივი ტიპია.

პარალელურად ამისა „პირველ ნაბიჯში" მეორე ამბავიცაა მოთხრობილი. თბილისის ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი წარმომადგენელთაგანი — ლამაზი ქართველი ქალი ვალიდა გატაცებით მოსწონს მდიდარს, „ნეკრესის ქარებით" დაავადებულ პოლკოვნიკ ლებოვს. ეს უკანასკნელი ირთავს ვალიდას. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ლებოვი ვალიდას ვიღაც გამოჩენილ ლამაზ მსახიობ ქალში გასცვლის. ეს გარემოება პირველად შეაწუხებს ვალიდას, მაგრამ თავს ინუგეშებს და თვით იწყებს გაქსუებულ და გარყვნილ ცხოვრებას.

რომანის ამ ორ პარალელურ ამბავს ერთმანეთთან აერთებს იერემია წარბა.

„პირველი ნაბიჯი" შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებია. შინაგანი აღნაგობის მხრივ იგი მრავალ სირთულეს შეიცავს, მისი ფართო ფონი და ტიპების მთელი გალერეა ავტორის დიდი ერუდიციის შედეგია.

„პირველ ნაბიჯს" ორგანიული სიუჟეტი აქვს. ავტორი დიდის დაკვირვებით ანვითარებს რომანის სიუჟეტს რთული ინტრიგების ხაზებში. მასში მძაფრი დრამატიული მომენტებია მხატვრულად გადმოცემული. რომანს არ აკლია არც მომქმედ პირთა ფსიქოლოგიური ანალიზი, არც მოძრაობა, არც მოტივირება. მომქმედი პირებიც ცოცხალნი და ჩამოყალიბებულნი არიან.

როგორც ვხედავთ, გ. წერეთელი თავის მნიშვნელოვან ნაწარმოებში მტკიცედ მიჰყვება რეალიზმის გზას. ამიტომ არის, რომ მისი შემოქმედება წარმოადგენს მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრების შესანიშნავ მხატვრულ ისტორიას. გ. წერეთლის რომანებიდან ჩვენ ვეცნობით საქართველოს წარსული ცხოვრების მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებს.

ეს თვისებები, ეს ნიშნები ანიჭებენ გ. წერეთლის მხატვრულ შემოქმედებას საპატიო ადგილს ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში.

---

[3] ნ. ნიკოლაძე,—„გიორგი წერეთლის პირველი შრომა", ჟურნ. „მოამბე", 1894 წ., № 3.

სახელმწიფო დაზღვევა

ყველა მოქალაქეს შეუძლია ნებაყოფლობითი წესით დააზღვიოს თავისი საოჯახო ქონება: ავეჯი, ტანისამოსი, თეთრეული, მუსიკალური ინსტრუმენტები, ექიმების, ინჟინრებისა და მეცნიერ მუშაკების კაბინეტების, კბილის სამკურნალო, სამედიცინო, ფიზიკური და სხვა მოწყობილობა და ინსტრუმენტები.

შეიძლება დაზღვეულ იქნას მთელი ქონება, ან, ქონების მფლობელის სურვილისამებრ, ცალკეული საგნები.

ქონება ითვლება დაზღვეულად ცეცხლისა, წყალდიდობისა, მიწისძვრისა და სხვა სტიქიური უბედურებისაგან.

დაზღვევა შეიძლება დაიდოს დაუთვალიერებლად ქონების მფლობელის სიტყვიერი განცხადების საფუძველზე შემდეგი თანხების ფარგლებში: ოჯახიანთათვის 10.000 მანეთამდე, მარტოხელთა—6.000 მანეთამდე ან განუსაზღვრელ თანხაში დათვალიერებისა და დასაზღვევი ქონების სიის შედგენის შემდეგ.

საოჯახო ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელები საგრძნობლად შემცირებულია: ქალაქებსა და მუშათა დაბებში 1 მან.—4 მანეთამდე სადაზღვევო უზრუნველყოფის თანხის თვითეული 1.000 მან. (შენობის ცეცხლგამძლეობის მიხედვით), ხოლო სოფელ ადგილებში 2 მან.—4 მანეთამდე.

საოჯახო ქონების დაზღვევას აწარმოებენ სარაიონო (საქალაქო) ფინგანებთან არსებული სახდაზღვევის ინსპექციები და სახდაზღვევის აგენტები.

დაწვრილებითი ცნობები დაზღვევის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ რაი (ქალაქის) ფინგანთან არსებულ სახდაზღვევის ინსპექციებში.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი) ტელეფონი 8—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ბ—619